დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გოჩა შუბითიძე

წევრები:

ნელი ტერტერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
ლარისა ჯაფარიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ირმა ქაფიანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თინათინ გიორგაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ირაკლი ქობალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
დომინიკა აბაშიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია ბალხამიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229729354

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი ზეინდარი
ფაქტობრივი მისამართი	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი ზეინდარი
საფოსტო ინდექსი	1900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/887?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zeindari@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595 24 81 82

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 20/05/2025 MES 5 25 0000549456 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და

	სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	3-4 ივლისი 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი I-VI კლასები	ქართული ენა	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი ზეინდარი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო VII_IX კლასები	ქართული ენა	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი ზეინდარი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო X_XII კლასები	ქართული ენა	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი ზეინდარი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 3 და 4 ივლისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება 20/05/2025 MES 5 25 0000549456 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ საფუძველზე აღნიშნულ სკოლაში შედგა საავტორიზაციო ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების თვითშეფასების ფორმა და თანდართული დოკუმენტაცია. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა, ჩატარდა გასაუბრებები სკოლის დირექციასთან და პერსონალთან. საგნობრივმა ექსპერტებმა პედაგოგებთან ინტერვიუები წარმართეს დისტანციურ ფორმატში. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	მიუხედავად იმისა,რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა მოთხოვილი რაოდენობის მატერიალური და ადამიანური რესურსი, მას არ აქვს საკლასო ოთახების საკმარისი რაოდენობა. აქვს 10 საკლასო ოთახი. მეევსე კლასი, ბიბლიოთეკა და კომპიუტრული ლაბორატორია განთავსებულია ერთ სივრცეში. მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასები განთავსებულია სპორტული დარბაზის გასახდელებში. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცეში განთავსებულია სამასწავლებლო და დირექტორის კაბინეტი. სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას თუ იმუშავებს ორ ცვლაში. სკოლამ წარმოაგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა რომლის მიხედვითაც 2025 წლის 15 სექტემბამდე საწავლო პროცესს დაგეგმავს ორ ცვლაში განაცალკევებს ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიასა და მეექვსე კლასს. გაათავისუფლებს სივრცეს სპორტული დარბაზის გსახდელებში და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის. შესაბამისად ექსპრტთა ჯგუფი ეთანხმება მოსწავლეთა მოთხოვილ რაოდენობას.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 08.03.2026 მდე*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 30.12.2025 მდე* *სკოლას მიეცა რეკომენდაცია 15.09.2025 მდე სასწავლო პროცესი დაგეგმოს ორ ცვლაში და შესაბამისად განათავსოს ცალ-ცალკე სივრცეში ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საგაზო და საშუალო საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია 28.07.2026 მდე მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N3126	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	*საურველია სკოლამ დოკუმენტურად გაწეროს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა დაგაზიარების მექანიზმი*
ინდიკატორი N3211	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	*სასურველია სკოლამ დოკუმენტურად გაწეროს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი*
ინდიკატორი N3414	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	სკოლას მიეცა რჩევა უსაფრთხო ფსიქოლოგიური და ემოციური გარემოს უზრუნველყოფა გაწეროს დოკუმენტურად
ინდიკატორი N3411	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის	*სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი*

	შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლოკურიკულუმი დაწყებითი საბაზო დასაშუალო საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**: სასურველია ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს მოსწავლის მიერ შესაქმნელი შემოქმედებითი პროდუქტი,რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კოგნიტური და აკადემიური უნარების განვითარებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, ყველა თემაში წარმოდგენილი იყოს კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავებით, მოხდება გრძელვადიან მიზნებზე და მის შედეგებზე გასვლა, რაც სასწავლო პროცესს მრავალფეროვანს და

		საინტერესოს გახდის. ასევე, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება იყოს დამუშავებული. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია ორივე საგნის კურიკულუმში მეტად აისახოს შუალედურ მიზნად მოაზრებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. **მათემატიკა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე კურიკულუმს ქონდეს საერთო სახე, კერძოდ მასზე მითითებული იყოს სკოლა კლასი და სახელმძღვანელოს ავტორი, რომლის მიხედვითაც არის შედგენილი ეს კურიკულუმი, თუმცა ეს პრობლემა ნაკლებად გვხვდება დაწყებით საფეხურზე. ასევე კარგი იქნება რომ ის თემა რომელის შესაბამის კომპლექსური დავალება არსებობს შეივსოს შესაბამისად ყველა ველი. მაგალითად, როცა მოცემულია კურიკულუმი და წერია მაგალითები შედარებისთვის ამ გრაფაში წერია უბრალო პროექტი, სასურველია დააკონკრეტოს მოკლედ თუ რა იგულისხმება მის მიღმა. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** რეკომენდებულია კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული. ჩაასწორონ პირველი კლასის ქართულის ჩარჩო და გაწერონ სამიზნე ცნებები. მათემატიკის კურიკულუმებს, სასურველია დაემატოს მეტი პრაქტიკული დავალება, რაც მოსწავლის ცოდნა-გამოცდილებას შეესაბამება. სასურველია, რომ ყველა საგანში კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით გაწერილი

		შეფასების კრიტერიუმები. სასურველია, კურიკულუმების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა, მაგ: ყველა ჩარჩო საგნების მოთხოვნების შესაბამისად, ერთნაირ ფორმატში გაკეთდეს,დაინერგოს საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის. ეს უკეთ აღსაქმელს გახდის კურიკულუმებს.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**: საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, დაწყებით საფეხურზე მოხდეს საკითხთა დაკლასტერება თემის შესაბამისად, რომელიც პასუხობს ახალ სტანდარტს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნობრივ კურიკულუმში ასახული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესი გაზრდის მოსწავლეთა ინტერესს, შინაგან მოტივაციას, რაც სასწავლო მიზნების შესრულებას შეუწყობს ხელს. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე შემავალი საგნების, მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, კურიკულუმის ჩარჩოში განისაზღვროს დასამუშავებელი ცნებების რაოდენობა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში ვხვდებით უზუსტობებს. სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში უნდა დამუშავდეს ყველა ცნება, აქედან გამომდინარე სასურველია, კათედრის წევრებმა გადახედონ კურიკულუმს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმს ახლდეს მოსწავლეთა ინტერესების რეგულარული კვლევა და თვითშეფასების

		ინსტრუმენტები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მის შესაბამისობას ეროვნულ მიზნებთან. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში. სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები შეივსოს სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით. ასევე სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. (მაგ. სახელმწიფო ენაში წარმოდგენილ კურიკულუმში თითოეულ თემაში არ ჩანს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. მეტესად მხოლოდ სამიზნე ცნება ტექსტია გააქტიურებული).
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია დაწყებით (მე და საზოგადოება), საბაზო(მოქალაქეობა, გეოგრაფია მე-7 კლასი) და საშუალო (გეოგრაფია, მოქალაქეობა მე-10 და მე-11 კლასები) საფეხურზე კურიკულუმით განსაზღვულ სასწავლო რესურსებში გრიფირებული სახელმძღვანელოდან დაკონკრეტებული იყოს პარაგრაფები და გვერდები, ასევევ იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო დამატებითი რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და მის შედეგებთან, თემასთან, საკითხთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.

		ესთეტიკური აღზრდა: მუსიკის კურიკულუმში, სასწავლო რესურსების სვეტში ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული გვერდები გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან. სასურველია კონკრეტულად ჩანდეს სახელმძღვანელოში არსებული თემა და საკითხი რომელ გვერდებს მოიცავს. **მათემატიკა:** კურიკულუმში ზოგიერთი თემას არა აქვს მითითებული სამიზნე ცნება და ქვეცნება, ძირითადად ეხება საშუალო საფეხურს. ამიტომ აუცილებელია კათედრამ შეიტანოს ცვლილება და შეავსოს კურიკულიმი. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ.რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ლინკები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, სადიაგნოსტიკო წერისათვის შეარჩიონ სადიაგნოსტიკო წერის ინსტრუმენტი, დაუკავშირონ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და გააკეთონ ანალიზი, რომელსაც შემდეგ გამოიყენებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენაში და ინდივიდუალურ მიდგომებში. **უცხოური ენები:** საჭიროა მეტი დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით. კერძოდ, სხვადასხვა ტიპის საკლასო და საშინაო დავალებების მიცემა არა სპეციალური საჭიროების მოსწავლეებთან.

		სახელმწიფო ენა: კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის, ან როგორ ხდება თანატოლთა შორის მხარდაჭერის ხელშეწყობა. მასწავლებლის როლი დიფერენცირებული დაგეგმვისა და სწავლების პროცესში გადამწყვეტია. **მათემატიკა:** სასურველია კათედრამ სსიმ მოსწავლეებს შესთვაზოს მეტი მრავალფეროვანი დავალებეი რომელიც ადაპტირებული ვერსია იქნება და იმუშაოს ამ მიმართულებით შეფასების სისტემის დახვეწაზე **ტექნოლოგიები:** სასურველია პედაგოგმა არა მხოლოდ კურიკულუმში, არამედ კონკრეტული დავალებებისთვისაც შექმნას ადაპტირებული ვერსიები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საფეხურებზე აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს და გრძელვადიან მიზნისკენ ანუ სამიზნე ცნებისკენ მიემართება. ავალდებულო თემაში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკები. **უცხოური ენები:** საჭიროა შეფასების რუბრიკების შემუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს ჰოლისტურ მიდგომას. მოსწავლე შეფასდეს არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის, არამედ სოციალური, ემოციური განვითარებით. შეფასება მოიცავდეს უნივერსალურ კომპეტენციებს, როგორიცაა თანამშრომლობა, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა და მოქალაქეობრივი აზროვნება. შეფასება ასახავდეს სწავლის პროცესს და არა მხოლოდ საბოლოო შედეგს. გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი და პიროვნული განვითარება. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია შეფასების სისტემა კორელაციაში იყოს სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და თემის ინდიკატორებთან, აქედან გამომდინარე სასურველია მუშაობა გააგრძელონ შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების / აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, შეიქმნას რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს,

		გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. **მათემატიკა:** სასურველია მათემატიკის კათედრამ იმუშაოს შეფასების რუბრიკის დახვეწაზე, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე, როგორც განმსაზღვრელ ისე განმავითარებელზე. როდესაც მოცემული კონკრეტული ტიპის დავალება, მაგალითად კურიკულუმში კომპლექსური დავალება სასურველია თან ახლდეს შეფასების რუბრიკაც. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**სახელმწიფო ენა:** სასურველია გაზომვადი შედეგების დამატება. ის დაეხმარება როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს, უკეთ გაიაზრონ, რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინონ ყოველი თემის ბოლოს. ასევე, კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების

		ინსტრუმენტების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზრვრელი რუბრიკა. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია გაითვალისწინოთ ,რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანსა და მუსიკაში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან , ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, შეფასების რუბრიკების გაწერის დროს გაითვალისწინეთ რომ ორიენტირი იყოს სამიზნე ცნებები, თავისი ქულობრივი შეფასებით. საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების სახელმძღვანელოებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით. სასურველია პროექტული სწავლების შეფასების დროს იხელმძღვანელოთ სახელმძღვანელოს დანართით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის,

		გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. **მათემატიკა:** სასურველია მათემატიკის კათედრამ სამივე საფეხურზე შეიმუშავოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დაფუძნებული იქნება ვალიდურობასა და ობიექტურობაზე. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, რომ შეფასების სქემა თან ერთვოდეს ყველა შემოქმედბითი დავალებას, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**სახელმწიფო ენა:** მიუხედავად იმისა, რომ YouTube ვიდეოები კარგი დამხმარე რესურსია, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინ მუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები).

		სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები: ლიტერატურულ კონტექსტზე და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, დანერგოთ პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს (და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც) შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**სახელმწიფო ენა**: იმისათვის, რომ სკოლამ სრულად უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსებით, აუცილებელია, კურიკულუმში მკაფიოდ გაიწეროს არა მხოლოდ რესურსების ჩამონათვალი, არამედ აღიწეროს ტექნიკური უზრუნველყოფა დეტალურად: რა ტექნოლოგიური მოწყობილობებია ხელმისაწვდომი სკოლაში (კომპიუტერული კლასი, ინტერაქტიური დაფები, პროექტორები, ინტერნეტი) და როგორ გამოიყენება ისინი რესურსების ეფექტურობისთვის. სასურველია, დაინერგოს ციფრული რესურსების ვალიდაციის, განახლებისა და ალტერნატიული რესურსების მოძიების სისტემა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მუდმივი ხელმისაწვდომობა და აქტუალურობა, განისაზღვროს ბიბლიოთეკის (როგორც ფიზიკური, ისე ციფრული) როლი დამხმარე რესურსების მიწოდებაში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შედეგად მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   <u>სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შეესაბამება და გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და ითვალისწინებს მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებს, სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად და ხარისხიანად წარმართვას ოცდამეერთე საუკუნის ცოდნით, უნარებით, მაღალი სამოქალაქო ცნობიერებით აღჭურვილ პიროვნების ჩამოყალიბებას,</u> რათა კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდეთ ცხოვრებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის. სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: გამჭვირვალობა, თანამშრომლობა. ობიექტურობა

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

   კოლა მისიასა და ხედვაში აქცენტს აკეთებს კვალიფიციური კადრებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს მეშვეობით სწავლა-სწავლების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებასა და მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე და მათი იმ უნარებით აღჭურვაზე, რომელიც საჭიროა წარმატებული მომავლისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის. კოლა უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, რაც, სკოლის მოსაზრებით, დაწესებულებას გარდაქმნის თემში მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერად. შესაბამისად სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს,როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. თავდაპირველად განისაზღვრა სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფი. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და მშობელთა გამოკითხვა. სკოლამ წარმოადგინა პედაგოიური საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია მისია, ხედვა და ღირებულებები.საკოლო სასწავლო გეგმა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს მისია ხედვა და ღირებულებები, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, სადაც წარმოდგენილი არიან მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლები. წარმოდგენილია მშობელთა კრებების ოქმები, რომლებშიდაც დასტურდება მისია ხედვა ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა. აღნიშნული პროცესები გაწერილია სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავების პროცესში დასტურდება სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა. დოკუმენტი გაზიარებულია და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში, ხოლო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სკოლის ვებ-გვერდზე (http://skolebi.emis.ge) და სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე განთავსებით. აგრეთვე, სოციალურ ქსელში არსებული საკომუნიკაციო ჯგუფებში დოკუმენტის გავრცელებით https://www.facebook.com/zeindrisskola.zeindrisskola .
შესაბამისად მისია ხედვა ღირებულებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ბრძანება სამუშაო ჯგუფის შესახებ
ისია, ხედვა, ღირებულებები
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
მშობელთა კრების ოქმი

სასკოლო სასწავლო გეგმა
სკოლის გვერდი ვებ გვერდზე https://skolebi.emis.ge
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 15/09/2005

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი სახელწოდებით სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია რომლის მეხუთე თავი ეთმობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს. ამ თავის პირველი პუნქტის ბ ქვეპუნქტში საუბარია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებაზე.

ასე რომ შეიძლება ითქვას: სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. გეგმა არის ციკლური, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. დოკუმენტის შესწავლისა და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს, მასში განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
2. ადამიანური რესურსის განვითარება;
3. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები ამოცანები გაწერილია სკოლის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის შემუშავებულია 2024-2025 სასწავლო წლისათვის და ითვალისწინებს შვიდწლიანი გეგმის მიზნებსა და ამოცანებს. სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესში სკოლა დაეყდნო თვითშეფასებას. სკოლის დირექციასთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლა ყოველი წლის ბოლოს სწავლობს განვლილ გამოცდილებას, ახორციიელებს თვითშეფასებას და ამის გათვლისწინებით გეგმავს მომავალ სასწავლო წელს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით. მასში განსაზღვრულია: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. ოგორც სტრატეგიული გეგმა ისიც მოიცავს სამ თავს: სტრატეგიული მიზნები. ომლებც ჩაშლილია ამოცანებად და აქტივობებად. სკოლის აზრით სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნები სამოქმედოში გათვალისწინებულია პრიორიტეტების გათვალისწინებით. მათი შემუშავებისას გათვალისწინებული იყო წინარე გამოცდილება სასკოლო საზოგადოების საჭიროებები

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მასში ნათქვამია, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, თუ რამდენად ხორციელდება სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები განიხილება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხომებზე, რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და უკუკავშირის გათვალისწინება. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი სადაც განხილულია მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სტატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ატარებს გეგმებში მითითებული სტრუქტურული ერთეული. გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება ხდება სტრუქტურული

ერთეულების მიერ. სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენის საშუალებებად მიჩნეულია პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დამსწრე საზოგადოების აზრის მოსმენის შემდეგ კი ისახება პროცესების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

სამეურვეო საბჭოს სხომის ოქმები

პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. სკოლაში მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ეფექტურად განხორციელებისათვის საშტატო განრიგის საფუძველზე დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 23 მასწავლებელი (მათ შორის 4 წამყვანი,18 უფროსი, 1 მოწვეული) უფროსი სპეციალური მასწავლებელი, სსსმ ასისტენტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით დადგენილია მათი ფუნქცია -მოვალეობები. მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრუქტურული ერთეულების/ ფუნქციების აღმწერი საკვალიფიკაციო მოთხოვნები,რომელშიც მკაფიოდაა გაეწერილი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირებისადმი მოთხოვნებს. შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,საქრთველოს შრომის კოდექსის,, ,, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის,, სკოლის შინაგანაწესის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიო და დეტალურია. შესაბამისად, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლები აცნობიერებენ, როგორ აისახება მათი საქმიანობა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი, ასევე სკოლის თანამშრომლები თავის საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი ოქმები, ასევე, სკოლაში დამკვიდრებული ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას თვალი ადევნოს მათ საქმიანობას და საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს პროცესების მართვა/კორექტირება. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებითაც დასტურდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების/ ფუნქციების აღმწერი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სტრატეგიული გეგმა

სამოქმედო გეგმა

საშტატო განრიგი

პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები

სამეურვეო საბჭოს სდომის ოქმები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვა. დოკუმენტი წარმოადგენსთანამიმდევრულ სახლმძღვანელო მითითებებს და აცხადებს დაწესებულების პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით. პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. მასში მოცემულია პოლიტიკის ამოცანები, ღირებულებები, აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის ციკლი. როგორ უნდა მოხდეს კადრების მოზიდვა და შერჩევა. შიდა და ღია კონკურსების განხოციელების პირობაბზე. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციაზე, შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე. პერსონალის მართვის მარეგულირებელი ერთ-ერთი დოკუმენტია სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის ქცევის მარეგულირებელი წესები, კერძოდ სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, სამუშაო დროის აღრიცხვა, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სკოლის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების გაცემის საკითხები და პირობები: გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება კონკურსის წესით. გათვალისწინებულია შიდა კონკურსი და ვაკანსიის ვერ შევსების შემთხვევაში ღია კონკურსის გამოცხადება. განსაზღვრულია კონკურსის დროს ინფორმაციის განთავსების წესი/პირობები. ასევე კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. ვაკანსია განთავსებულია შესაბამის ვებგვერდზე და საჯაროა. სკოლამ წარმოადგინა მის მიერ გავლილი პროცედურა ერთ-ერთი მასწავლებლის მიღების დროს. სკოლის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში მიმდინარეობს თანამშორომელთა მუშაობაზე დაკვირვება და საჭიროებების გამოვლენა. სკოლის დირექცია საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფს პერსონალის მხარდაჭერას. სკოლამ წარმოადგინა ირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება სკოლის კონკრეტულ სჭიროებებს და მიზნად ისახავს დროულ რეაგირებას გამოწვევებზე. დოკუმენტში საუბარია შიდა მონიტორინგსა და შეფასებაზე. თანამშრომელთა თვითშფასებასა და უკუკავშირზე. პრევენციულ განვითარებასა და ტრენინგებზე. მოქმედების გეგმის ჩამოყალიბებასა და ინტერვენციაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტურობის და გამჭირვალობის პრინციპების გათვალისწინებთ, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს ჩატარებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტაციის განხილვისას. სკოლის განმარტებით, პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს გამჭვირვალობას, ობიექტურობას, კანონმდებლობის სრულ დაცვას. მასწავლებლების შერჩევა ხდება მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნების დაცვით. სკოლაში ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში ცხადდება ვაკანსია და იდება შესაბამის ვებ-გვერდზე (teachers,gov.ge) საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად. დარეგისტრირებული კანდიდატების შერჩევა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. პირველ ეტაპზე იქმნება კომისია სასკოლო საზოგადოების წევრების შემადგენლობით. □კოლამ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის შექ,ნის, საპრეტენზიო კომისიის შექმნის ბრძანებები, საკონკურდო კომისიის სხდომის ოქმი. კომისია განიხილავს კანდიდატთა დოკუმენტაციას და ირჩევს იმ კანდიდატებს, რომლებიც შეესაბამებიან საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გამოქვეყნებულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მისი ნახვა შეუძლია ნებისმიერ პირს. შემდგომ ეტაპზე კანდიდატები გადიან გასაუბრებას და კოლექტივის ახალ წევრს კომისია ირჩევს ხმათა უმრავლესობით. გათვალისწინებულია გასაჩივრების წესი და პროცედურები. ამის შემდეგ მასთან ფორმდება ხელშეკრულება გარკვეული ვადით და პირობებით.

დირექტორის განცხადებით პერსონალის კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოცემულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სკოლაში დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში. ვიზიტის დროს teachers.jobs.ge-ზე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის განაცხადი, რომლითაც დადასტურდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლებით დაცულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს (სკოლაში თანამშრომლის მიღებისთანავე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც თავმოყრილია დოკუმენტაცია აღნიშნული თანამშრომლის პირადი მონაცემების, განათლების და გამოცდილების შესახებ). ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მასწავლებელთა პირადი საქმეები. არაჯებთან და დამლაგებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. პირად საქმეში იდო შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ასლი, დიპლომის ასლი, მასწავლებლის სერტიფიკატი, სერთიფიკატები გავლილი ტრენინგების შესახებ, CV, კადრების აღრიცხვის ფურცელი. პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ასევე, ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ (2020 წლის შემდეგ დასაქმებული თანამშრომლების შემთხვევაში). მონაცემები პირადი საქმის გარდა ასახულია eschool-ის ბაზაში. ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსების მიხედვით. სკოლას აქვს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ექიმის პირადი საქმე. ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ექიმის კვალიფიკაცია და პირადი საქმე შეესაბამება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებას (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლის ადმინისტრაცია განმარტავს, რომ სკოლაში აღიარებულია გუნდური მუშაობის პრინციპები, მკვიდრდება თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც დაფუძნებულია პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე, მიღწევების აღიარებაზე. პედსაბჭოზე, კათედრებზე, თვითმმართველობის სხდომებზე, მშობელთა კრებებზე ხდება ინიციატივების, წინადადებების, საჭიროებების განხილვა. სკოლაში კათედრები და ადმინისტრაცია მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით გეგმავს და ახორციელებს პროფესიული განვითარების ღონისძიებებს. სკოლის ყველა თანამშრომელს გაზიარებული აქვს გუნდური მუშაობის მნიშვნელობა. წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობენ მასწავლებლები. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა დასტურდება სკოლაში მოქმედი მმართველობითი კოლეგიური ორგანოს პედსაბჭოს მასალებით. მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს ოქმი. ოქმიდან ჩანს მასწავლებლების ჩართულობა ისეთი სასკოლო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, კათედრის თავმჯდომარეების არჩევა-დამტკიცება, კლასის დამრიგებლების შერჩევა-დამტკიცება, ავტორიზაციისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხილვა და სხვა. პედსაბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. ოქმში მოცემულია საბჭოს სხდომაში მონაწილე პირთა ნუსხა და კენჭისყრის შედეგები ცალკეულ საკითხებზე, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება, ასევე დისციპლინურ კომიტეტში მასწავლებელთა წარმომადგენლის არჩევის საკითხი. გარდა ამისა, მონაწილეობა და გუნდურობა დასტურდება სკოლაში მოქმედი სამეურვეო საბჭოს წარმოდგენილი ოქმებით. სადაც განხილულია საკითხები: სასკოლო საწავლო გეგმის განხილვა შესათანხებლად, სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება, მოსწავლეთა თვითმმართველობის თარიღის დადგენა. საკითხები

გადაწყვეტილია ხმათა უმრავლესობით. ასევე დისციპლინური კომიტეტის არჩევა რაც შეესაბამება ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის (სამეურვეო საბჭოს ფუნქციები) პირველი პუქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამეურვეო საბჭოს მიერ დისციპლინური კომიტეტის არჩევას. ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომლის სხდომის დღის წესრიგი ითვალისწინებს სკოლის დირექტორის წლიურ ანგარიშს, ბიუჯეტის დამტკიცებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულ პირთა წახალისების სახეები და გამოყენების წესი. დაზუსტებულია წახალისების პირობები და ფორმები. კათედრებზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და აღიარება. სასურველია სკოლამ წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი გაწეროს დოკუმენტურად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი

შრომითი ხელშეკრულებები

პერსონალის დანიშვნის ამსახველი დოკუმენტაცია

პერსონალის პირადი საქმეები

teachers.jobs.ge

სკოლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს სდომების ოქმები

პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
ადმიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტები, რომელშიც მოცემულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. ამ მიმართულებით არის ჩანაწერები ერთწლიან სამოქმედო გეგმაში: თავი 2 ადამიანური რესურსის განვითარება. სასურველია სკოლამ მექანიზმი გაწეროს დოკუმენტურად

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინებულია სკოლაში დასაქმებული პირების შეფასება და აგრეთვე, პროფესიული განვითარების მექანიზმები. ამ მიმართულებით არის ჩანაწერი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში: თავი 2 ადამიანური რესურსების განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის პედაგოგები რეგულარულად ესწრებიან სქემის ფარგლებში, სტატუსის შესაბამისად, მათთვის განკუთვნილ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს მასწავლებლის სახლის მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატები. სკოლა უზრუნველყოფს პედაგოგებს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო სივრცითა და მატერიალურ ტექნიკური რესურსით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო თანამშრომლების სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. სკოლა ეხმარება ახალ თანამშრომელს თავი იგრძნოს ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად. აცნობს სკოლის შინაგანაწესს. წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას. აცნობს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. ახალი წევრი ერთვება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში. ახალ თანამშრომელთან ასეთი დამოკიდებულება ხელს უწყობს მათ ადაპტირებას და ძალიან მალე სკოლის გუნდის წევრად გახდომას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. სკოლის განმარტებით ინიციატივები მოდის საგნობრივი კათედრებიდან, სკოლის თვითმმართველობიდან, შესაძლოა ინიციტივა წამოვიდეს რომელიმე კონკრეტული თანამშრომლიდან. წინადადებები განიხილება დირექციის მიერ, პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოზე და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
•დასაქმებულთა პირადი საქმეები
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი,

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა რეგულაციებით. სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელც მოიცავს ხარისხი უზრუნველყოფის მიზნებს, რეგულაციებს რომლებც გათვალისწინებული უნდა იქნას ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში, ხარისხის უზრუნვეყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სკოლის პროცესებს, ხარისხის უზრუნველყოფია წესს, საქმიანობა ითვალისწინებს ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. სკოლა უწყვეტად გადის დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, რევიზიის ეტაპებს. სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული პროცესები გაწერილია დოკუმენტში - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. დოკუმენტში განმარტებულია თითოეული პროცესი, მოიცავს პროცესების აღწერასა და მათ გამოყენებას, სკოლას შემუშავებული აქვს პროცესების შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

მოქმედებს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი. სკოლაში მოქმედებს „გასაჩივრების პროცედურები". დოკუმენტი დამტკიცებულია და განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პრინციპებს, წარდგენის წესს, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესებსა და ვადებს. განხილვაზე უფლებამოსილია შესაბამისი პირი/სტრუქტურული ერთეული/კომისია, რომლის კომპეტენციასაც მიეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა. ამავე დოკუმენტით რეგულირდება დირექტორის/დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოში, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრების განხილვის წესი. ამ წესის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლეს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს დამოუკიდებლად ან მშობელთან ერთად, ხოლო თუ პრეტენზია არის დირექტორის მიმართ საჩივარი წარედგინება სამეურვეო საბჭოს. უფლების დარღვევის შესახებ საჩივრის განხილვის ვადად განსაზღვრულია ორი კვირა. დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში. ამავე წესით განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ოკუმენტი მოიცავს მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებებს, მათი კანონიერი უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების წესს, დანართების სახით მოიცავს განცხადების ფორმებს. სკოლა ამ პროცესებს წარმართავს ზოგადი განათლების

შესახებ კანონის, წესდების, მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. შექმნილია საჩივრების განხილვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სისტემა მათ შორის დისციპლინური კომიტეტისა და სამეურვეო საბჭოს სახით. მოსწავლის, მშობლისა და პერსონალის უფლებები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებაში, მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაში, გასაჩივრების პროცედურებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, ბრძანებები და თანდარული დოკუმენტაცია
სკოლის გვერდი ვებ გვერდზე skolebi.emis.ge
გასაჩივრების პროცედურები
შინაგანაწესი
შრომითი ხელშეკრულებები
მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
სასკოლო სასწავლო გეგმა
მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.
მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი
ვერიფიკაციის მექანიზმი
მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
მოსწავლეთა ჩარიცხვის და ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების წესი
ტრანზიციის მექანიზმი
პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი
საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი

სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
საქმისწარმოების წესი
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   მართვის პროცესებთან დაკავშირებით შედგენილი ზოგიერთი დოკუმენტი საჯაროა. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე, აგრეთვე, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით (ჯგუფები სოციალურ ქსელში). გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

   სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან მართვის კოლეგიალურ ორგანოებში და უზრუნველყოფენ მათ შეუფერხებელ მუშაობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც, მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული. სკოლა

უზრუნველყოფს მშობლების ჩართვას სხვადასხვა ღონისძიებებში: მაგ. სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიების და სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა-მომზადებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები

პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები

მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი:

http://skolebi.emis.ge

ელ ჟურნალი

მშობელთა კრებების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. სკოლაში დასაქმებული დარაჯები, უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დაცვას. აქვს ვიდეოსათვალთვალო სისტემა. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირი. აქვს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N103 16/04/2025, რომელშიც გაწერილია რა აქვს სკოლას გასაკეთებელი სახანძრო უსაფრთხოების კუთხით. აქვს მიწერილობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი MES 3 25 0000575086 27/05/2025 რომელშიც ითხოვს დახმარებას სახანძრო უსაფრთხოების პრობლემების მოსაგვარებლად აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად. *სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 08.03.2026 მდე.* სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. დირექტორის N 2-92 12/10/2020 ბრძანებით განსაზღვრულია სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირი. სკოლას არ ყავს მანდატურები. სკოლაში დამონტაჟებულია 22 ვიდეოკამერა, რომელთაგან სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს ახორციელებს 11 კამერა, ხოლო სკოლის შიგა პერიმეტრს აკონტროლებს 11 კამერა. ვიდეო სათვალთვალო სისტემით მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დერეფნებში, ხოლო ოთახებსა და სკოლის სველ წერტილებში კამერები დამონტაჟებული არაა. ვიდეო სათვალთვალო სისტემის ჩანაწერების ადმინისტრირებას სკოლაში ახორციელებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა ზრუნავს არა მარტო ფიზიკური გარემოს უსაფრთხოებაზე, არამედ სასკოლო საზოგადოების ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზეც. დამრიგებლები და სკოლის დირექცია ცდილობენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. ტარდება საუბრები ძალადობის, დისკრიმინაციისა და ბულინგის თემატიკაზე. სკოლის დირექტორის განმარტებით, კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა განვითარების თვისებურებების გათვალისწინებით. სკოლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, რათა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას, სწავლების დიფერენცირებას. შეფასებები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, სადაც მშობელსაც და მოსწავლესაც მიუწვდება ხელი და ადვილია ინფორმაციის მიღება. სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნული გაწეროს დოკუმენტურად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. ეს წესი არეგულირებს სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის შენობასა და ტერიტორიაზე სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესსა პირობებს. ანსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს. გაფორმებულია ხელშეკრულებები დამლაგებლებთან. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებენ მტუკი და სკოლის ექიმი. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის დასაქმებულია 2 დამლაგებელი. ვიზიტის პერიოდში სკოლის სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა ზრუნავს პერსონალური მონაცემების დაცვაზე. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. გამოყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ყავთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ძირითადი მონაცემები ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (ESCHOOL) ამ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გასაჯაროებამდე ხდება მშობელთა თანხმობის მოპოვება. როგორც დამრიგებლებს, ისე მასწავლებლებს დაკისრებული აქვთ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების მკაცრად დაცვის ვალდებულება.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ყავს ინფორმაციის საჯაროობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა მონაცემების ნაწილი ინახება სკოლის სივრცეში, კარადებში, რომლების იკეტება და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ინფორმაცია ასევე ინახება ისეთ ელექტრონული სისტემებში როგორებიცაა ESCHOOL, EFLOW, ელექტრონული ფოსტა და ელექტრონული ჟურნალი. მოცემული სისტემებიდან სხვადასხვა სეგმენტზე წვდომა მხოლოდ ადმინისტრაციის კონკრეტულ წარმომადგენლებსა და პედაგოგებს აქვთ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად და ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. შექმნილია და ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება : უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი
შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
დარაჯებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება
ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება
მრჩეველთა საბჭოს ოქმები
ESCHOOL, EFLOW, ელექტრონული ფოსტა და ელექტრონული ჟურნალი.
პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლას გასაახლებელი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, შეიცვალა პროექტი და საჭიროა ახალი ამონაწერის მომზადება. შენობა ორსართულიანია. პირველ სართულზე განლაგებულია სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, 5 საკლასო ოთახი, სპეციალური ოთახი, სველი წერტილები, მათ შორის ადპტირებულიც. მეორე სართულზე განლაგებულია 5 საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო რომელიც ანთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცეში. ბიბლიოთეკა რომელიც განთავსებულია საკლასო ოთახში კომპიუტერულ ლაბორატორიასთან ერთად. სველი წერტილები მათშორის ადაპტირებული. სკოლას მიუხედავად იმისა რომ აქვს ყველანაირი მატერიალური რესურსი, არ აქვს საკმარისი ფართი იმისათვის რომ საგანმანათლებლო პროცესი განახორციელოს სამივე საფეხურზე. **ერთ ერთ საკლასო ოთახში განთავსებულია მეექვსე კლასი კომპიუტერული ლაბორია და ბიბლიოთეკა.** მართალია სკოლას აქვს კოპიტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის გრაფიკები, რომელიც არემთხვევა სასწავლო პროცესს. გრაფიკის მიხედვით ამ სივრცეებით სარგებლობა შესაძლებელია გაკვეთილების შემდეგ. გარდა ამისა როდესაც სხვა კლასს აქვს ინფორმატილის გაკვეთილი მეექვსე კლასს უწევს იმ კლასის საკლასო ოთახში გასვლა რომელსა გაკვეთილი აქვს. ამ სივრცეებით სარგებლობა სრულყოფილი არაა. **ორი კლასი მეთერთმეტე და მეთორმეტე განთავსებულია სპორტული დარბაზების გასახდელებში.** არ აქვთ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომლისთვისაც გამოყოფილ სივრცეში განთავსებულია სამასწავლებლო და სკოლის ადმინისტრაცია. სკოლას საავტორიზაციო განაცხადი შემოტანილი აქვს 150 მოსწავლეზე. ექსპერტთა ჯგუფი ამ განაცხადს არ დაეთანხმა. სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს მოსწავლეთა ამ რაოდენობის მომსახურებას, თუ იმუშავებს ორ ცვლაში. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი. სკოლაში არსებული სხვა კლასები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი და მოწესრიგებული ფიზიკური გარემოთი. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად მოწყობილია საკლასო ოთახები, სკოლამ წარმოადგინა აზომვითი ნახაზი, აქვს რეკრეაციული ზონა, სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა - ცალკე მდგომი საქვაბე. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით - ინდივიდუალური მერხი და სკამი - მასწავლებლის მაგიდით. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტ-ქსელში ჩართული კომპიუტერებით, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ლაბორატორია და შემოწმდა კომპიუტერების ინტერნეტ ქსელში ჩართულობა.სველ წერტილებში მოწყობილია ინდივიდულური კაბინები ჩამკეტი კარით. კაბინის კარებები, ხელსაბანები/ონკანები გამართულ მდგომარეობაშია.

ინდიკატორის მოთხოვნები არაა დაკმაყოფილებული

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები - საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლება 30.12.2025 მდე. სასწავლო პროცესის ორ ცვლაში დაგეგმვა და შესაბამისად კომპიუტერული ლაბორატორიის, ბიბლიოთეკიასა და საკლასო ოთახის ცალ-ცალკე ცივრცეში განთავსება 15.09.20225 მდე

ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამიად

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; კერძოდ სკოლის ყველა მოსწავლე და თანამშრომლისთვის ყოველთვის ღიაა სამედიცინო კაბინეტი. სკოლის ინფრასტრუქტურა თანაბრადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის, საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება ხდება წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით. კომპიუტრულ ლაბორატორიას ხშირად იყენებენ ელექტრონული რესურსების მოძიებისა და დამუშავებისათვის მიუხედავად იმისა რომ მასაც არ აქვს ცალკე სივრცე. მოსწავლეები გაკვეთილებს შორის შესვენებების პერიოდში დასვენებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის სარგებლობენ შენობაში არსებული დერეფნებით, სკოლის ეზოში არსებული სივრცეებიით, სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის სარგებლობენ სპორტული დარბაზით, აქვთ გარე სპორტული მოედანიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკას არ აქვს ცალკე სივრცე აქ შესაძლებელია როგორც წიგნების გამოწერა, ასევე ბიბლიოთეკაში წაკითხვა. სკოლას აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის გრაფიკი, რომელიც არ ემთხვევა სასწავლო პროცესს. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რათა მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურად ხელმისაწვდომობა და გამოყენება. ბიბლიოთეკით ხშირად სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. აქვე

გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის გრაფიკი. ბიბლიოთეკარი აღრიცხავს და აკონტროლებს გატანილ წიგნებს თუ სხვა რესურსებს და მათი დაბრუნების ვადებს

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**
   სკოლის მიერ მოსწავლეები უზრუნველყოფილია ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით, სასწავლო წიგნებით, საგნობრივი თვალსაჩინოებებით. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, აქვს პანდუსი და ლიფტი. სკოლის რესურსი თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის. აქვთ ადაპტირებული სველი წერტილები.

ინდიკატორის ოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**
   სკოლა ცდილობს რომ მისი ინფრასტუქტურა გამოყენებული იქნას, როგორც ყველასთვის მისაღები სოციო-კულტურული სივრცე. ინფრასტრუქტურა სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შეუძლიათ სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შენობა ნაგებობის სქემა

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს საკუთარი სივრცე, კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. გარდა ამისა კომპიუტერები განთავსებულია სამასწავლებლოსა და კანცელარიაში, ასევე სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან. სკოლის განცხადებით, მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. სკოლას აქვს პროექტორები. შესაბამისი სივრცეები აღჭურვილია პრინტერებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისთვის და მოსწავლეებისთვის. სამასწავლებლოში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებზე წვდომა შესაძლებელია მასწავლებლებისათვის. ისტ ლაბორატორიაში განთავსებული ლეპტოპებით სარგებლობა გარკვეული გრაფიკით შეუძლიათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ლაბორატორიით სარგებლობის წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რაც ხელს უწყობს ამ რესურსის ეფექტიან გამოყენებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა საქმისწარმოების განხორციელების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ დოკუმენტის და ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. აქვს ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოების წესების შესაბამისად. სკოლაში საქმისწარმოება ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის Eflow-ს მეშვეობთ, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება **და** ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი. Eflow-ს სისტემაში იტვირთება ბრძანებები, სამსახურებრივი ბარათები. ბრძანებები ინახება

მატერიალური ფორმითაც სპეციალურ საქაღალდეში. ჟურნალი დამოწმებულია დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით. სკოლაში ცალ-ცალკეა გაყოფილი საკადრო და საერთო ბრძანებები, სადაც რიგითობის მიხედვით ენიჭება თითოეულ ბრძანებას ინდივიდულური ნომერი. საკადრო ბრძანებები დანომრილია N1/კ პრინციპით, საერთო ბრძანებები N2. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გათვალისწინებული სპეციალური მოდულის მეშვეობით სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები, რომლის საფუძველშიც მითითებულია მშობლის განცხადება ან/და შესაბამისი სკოლის მოთხოვნა. თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები რეგისტრირებულია შესაბამის სარეგისტარციო ჟურნალში N5. ჟურნალი დამოწმებულია დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით. ხელშეკრულებები მატერიალური სახით ინახება სპეციალურ საქაღალდეში. მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 113/ნ 2013 წლის 22.08. საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**
   ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის Eflow-ს და Eschool-ის სისტემები და მისი წარმოების
   პროცედურები, რომელსაც ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რითაც დადასტურდა მათი წარმოება კანონმდებლობით მოქმედი საქმისწარმოების წესების შესაბამისად. სკოლაში საქმისწარმოება ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის Eflow-ს მეშვეობთ, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება და ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი. Eflow-ს სისტემაში იტვირთება ბრძანებები, სამსახურებრივი ბარათები. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გაცვლა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახულია ინფორმაცია პერსონალისა და მოსწავლეების, ასევე მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე ასახულია საგაკვეთილო ცხრილები, არჩეული სახელმძღვანელოები, საგნების განაწილება მასწავლებლებზე და კლასებზე. პროფილის განახლება ხდება საჭიროებების შესაბამისად, უწყვეტ რეჟიმში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, კერძოდ, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის სისტემაში შემავალ სსიპ-ებთან (სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო და ა.შ.). კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - eFlow-ს მეშვეობით, ან, სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი

შემოსული და გასული კორესპონდენცია

ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი

სკოლის საქმისწარმოების წესი.

სკოლის Eflow და Eschool
კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ვებ გვერდზე (http://skolebi.emis.ge) შესაბამისი გვერდის, სოციალურ ქსელში არსებული სკოლის გვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალურ ქსელში შექმნილი საკომუნიკაციო ჯგუფებისა https://www.facebook.com/zeindrisskola.zeindrisskola და საინფორმაციო დაფის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით. მოქმედებს „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომლიც თანახმად სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ითანამშრომლოს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და მოთხოვნილ ვადებში მიაწოდოს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია, აწარმოოს კომუნიკაცია სკოლის შიგნით, და ასევე მის გარეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მოქმედებს „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომლის ერთ-ერთ მიზნად

განსაზღვრულია, რომ „სკოლის უკუკავშირის შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ხოლო სკოლის ყველა თანამშრომელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის და ასევე, უკუკავშირის სხვა შედეგების სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გამოყენებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი skolebi.emis.ge , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

https://skolebi.emis.ge/,
https://www.facebook.com/zeindrisskola.zeindrisskola
საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს (ბიუჯეტი, შესყიდვების გეგმა). სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით და ბანკიდან მიღებული სარგებლით. სკოლის ადმინისტრაცია განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს. ბიუჯეტი გათვლილია მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასებზე, კომუნალურ გადასახადებზე, საკანცელარიო ხარჯებზე, ჰიგიენურ პროდუქციაზე, მიღებული შემოსავლები მიემართება მიზნობრივად, სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტის კორექტირება სამეურვეო საბჭოს თანხმობით. სკოლის შესყიდვის წლიურ გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით და ცვლილებების შეტანა ხდება

დირექტორის ბრძანების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში. ყოველი კალენდარული წლის ათ დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილ ვადებში წარუდგენს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მოძრაობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ბიუჯეტი (Eschool)
შესყიდვების გეგმა (http://www.procurement.gov.ge/)
სამეურვეო საბჭოს ოქმი
ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა არის სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესი ეფუძნება კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“. შინაგანაწესი უზრუნველყოფს სკოლაში ყველა მოსწავლისათვის ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება. მოსწავლეთა თვითმართველობას თავისი წარმომადგენელი ჰყავს სკოლის უმაღლეს არჩევით ორგანოში. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელი მონაწილეობს ბიუჯეტის განხილვაში და ანგარიშგებაში - დირექტორის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა. შინაგანაწესი განსაზღვრავს მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესს,ასევე დისციპლინური წარმოების წესს. სასკოლო სასწავლო გემით განსაზღვრულია სემესტრული გამოცდების ჩატარების წესი და პირობები. მშობელს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მოსწავლის სემესტრული შედეგი. მოქმედებს სკოლის მიერ დადგენილი განცხადების და საჩივრის განხილვიდ წესი. დოკუმენტი დამტკიცებულია და განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პრინციპებს, წარდგენის წესს, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესებსა და ვადებს. განხილვაზე უფლებამოსილია შესაბამისი პირი/სტრუქტურული ერთეული/კომისია, რომლის კომპეტენციასაც მიეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა. ამავე დოკუმენტით რეგულირდება დირექტორის/დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი: გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოში. აგრეთვე, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრების განხილვის წესი. ამ წესის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს დამოუკიდებლად ან მშობელთან ერთად, ხოლო თუ პრეტენზია არის დირექტორის მიმართ საჩივარი წარედგინება სამეურვეო საბჭოს. უფლების დარღვევის შესახებ საჩივრის განხილვის ვადად განსაზღვრულია ორი კვირა. დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი. სკოლას აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის-კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი

სკოლა ხელმძღვანელობს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესდებით, რომლის მესამე თავი აგრეთვე არეგულირებს ამ საკითხებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შინაგანაწესი. შინაგანაწესსა და მასში განხორციელებულ ცვლილებებს დამრიგებლები განიხილავენ მშობელთა კრებებზე. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლემ, მშობელმა, მასწავლებელმა იციან უფლების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურები. ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია ზიარდება სხვადასხვა ხერხით. დაინტერესებული მხარეებისათვის ცნობილია მოსწავლეთა სიაში ჩარიცხვის, ამორიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი, სსსმ მოსწავლეების შეფასების წესი და ისგ შექმნის რეგულაციები. გასაჩივრების პროცედურები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე htpp://skolebi.emis.ge

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი
განცხადების და საჩივრის განხილვიდ წესი
მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
მოსწავლის, პერსონალის, მშობლის-კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მის მიერ განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; აღნიშნული პროცედურები ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანების საფუძველზე. წარმოდგენილია ბრძანებების ნიმუშები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზე ხორციელდებოდა მოსწავლის ჩარიცხვა და საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა. სკოლა ხელმძღვანელობს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული პროცედურები ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების წესის შესაბამისად. სკოლა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვას. წარმოდგენილია ბრძანებების ნიმუშები. მოსწავლეთა მიერ კლასის დაძლევა კი ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე და შემდგომ აისახება eschool- ის საინფორმაციო სისტემაში. მაგალითად, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი მომართავს სკოლას განცხადებით მოსწავლის ამორიცხვისა და ჩარიცხვის შესახებ, მომართვის საფუძველზე განცხადება ტარდება eflow-ში და ელექტრონულად ხდება სკოლებს შორის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და იგზავნება საბუთები. ბრძანების საფუძველზე ხდება მოსწავლის ამორიცხვა ან ჩარიცხვა. დაწერილი ბრძანება აისახება

eflow-ში და მოსწავლე ჩაირიცხება eschool -ის ბაზაში შესაბამის კლასში. სკოლამ ნიმუშისათვის წარმოადგინა შესაბამისი ბრძანებები. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას დაცული აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის, აგრეთვე სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს მიეწოდებათ დამრიგებლების მიერ. სკოლის შინაგანაწესი, რომელიც აღწერს ქცევით ნორმებს თვალსაჩინოდ არის განთავსებული სკოლის შენობაში. ვებ გვერდზე განთავსებულია მოსწავლეთა ქცევის წესები. მოსწავლეები ჩართულნი არიან საკლასო ქცევის წესების შექმნაში, რომელიც შეესაბამება სკოლის შიდა პოლიტიკას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებაა კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელება. აგრეთვე, მოქმედებს „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომლის თანახმად სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ითანამშრომლოს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და მოთხოვნილ ვადებში მიაწოდოს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია, აწარმოოს კომუნიკაცია სკოლის შიგნით, და ასევე მის გარეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა/კომუნიკაციის წესი
მოსწავლის ჩარიცხვის და ამორიცხვის ბრძანებები
საფეხურის დაძლევის შესახებ ბრძანებები
სასკოლო სასწავლო გეგმი
მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში მოქმედებს დამტკიცებული მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი. შექმნილია თანამშრომლობითი, უსაფრთხო და ინკლუზიური სასკოლო გარემო მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მასწავლებლებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელები მშობელთა კრებაზე მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი. მიღებული უკუკავშირის ან დამდგარი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გეგმამ მოდიფიკაცია განიცადოს. სასწავლო გარემოში მოსწავლეთა ეფექტური ადაპტაციისათვის სკოლის დირექცია და დამრიგებლები ახორციელებენ საჭირო აქტივობებს. მაგ: პირველ კლასელებისთვის დამრიგებლები აწყობენ ექსკურსიას სკოლის სივრცეში, რათა მათთვის სკოლის გარემო უცხო არ იყოს. სკოლაში მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს, რომელიც სკოლაშია დამკვიდრებული, რაც ხელს უწყობს მის კლასთან ინტეგრაციას. მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში განლაგებულია მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაბამისი მერხები, საკლასო გარემო და დამატებითი სივრცეები ხელს უწყობენ მოსწავლეთა კომუნიკაციას ერთმანეთთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში დანერგილია განმავითარებელი შეფასების უკუკავშირის ფორმების გაზიარების პრაქტიკა. დაწყებით კლასებში, ელ. ჟურნალში თითოეულ საგანში კეთდება განმავითარებელი კომენტარები, რომელზედაც ხელი მიუწვდება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს. დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობებ კომპლექსური დავალების ბარათებს იმ

საგნებისა და კლასების მიხედვით, რომელშიც იგეგმება კომპექსური დავალება. აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა კრების საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა რემედიაციის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლა აწვდის ინფორმაციას საჭიროებისამებრ და ავლენს დროულ რეაგირებს განცხადებებზე. პირველივე მშობელთა კრებაზე აცნობს სასკოლო გეგმასა და შინაგანაწესის იმ პუნქტებს რომლებიც მოსწავლის უფლებებს შეეხება; მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდის დანიშვნა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინარული წარმოების წესი და სახეები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის , გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის . სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება . სკოლა განსაზღვრვს პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად Eschool-ის ბაზაში. გამოიცემა შესაბამისი აქტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერასა და არაფორმალური განათლების წახალისებას. აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით წარმატებული დამკვიდრებული პრაქტიკა. დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდდაჭერის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც შეიძლება მოწოდებული იქნას, როგორც ზეპირად, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში, ან გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებული კომენტარის სახით, ან კიდევ პირისპირ შეხვედრებზე. ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, სკოლა კვლავაც გეგმავს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე, გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი, გეგმავს მოახდინოს დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების კვლევა, და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი.
- მოსწავლეთა ტრანზიციის წესი
- ოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წეი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის სკოლას აქვს სხვადასხვა ღონისძიებების განხორცილების გამოცდილება. კერძოდ: კლასის საათის ფარგლებში დამრიგებლები წარმართავენ საუბრებს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა კლასის საათების ოქმები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას საათობრივ ბადეში არ აქვს გათვალისწინებული მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილები, დაწესებულება დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობებით აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა სისტემატურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და პროფესიულ სასწავლებელში დაგეგმილი ღია კარის დღეების შესახებ. საბაზო და საშუალო საფეხურის დამამათავრებელ კლასებში დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა მოსწავლეების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგად სკოლამ მიიღო ინფორმაცია, თუ რომელი პროფესიით არიან დაინტერესებულნი მოსწავლეები, რა სახის ინფორმაციის

მიღებას ისურვებდნენ ისინი პროფესიების შესახებ და რომელ ორგანიზაციაში სურთ ვიზიტი პროფესიის გაცნობით მიზნით. სკოლა აღნიშნული გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გეგმავს მოსწავლეებისათვის შესაბამისი მომსახურების დაგეგმვასა და შეთავაზებას, ხოლო ყოველწლიურად ჩაატარებს გაწეული მომსახურების შეფასებას და შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სადამრიგებლო პროგრამები

კლასის საათის ოქმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**
   სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი, რომელის მუშაობა წარიმართება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში წარმოებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი. სკოლამ წარმოადგინა შიდა მონიტორინგის დასკვნა.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის წარმატებული დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლაში სწავლობს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებული 3 სსსმ მოსწავლე. სკოლაში დასაქმებულია 1 სპეციალური მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში ჩატარებული გასაუბრებით გამოვლინდა, რომ სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს. ისგ შემუშავების პროცესში ჩართულია მშობლები, საგნის მასწავლებელი და სპეციალური მასწავლებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.
ბრძანება ისგ შექმნის შესახებ
შიდა მონიტორინგის დასკვნა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აღსანიშნავია, რომ სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით. ამ მომსახურების განხორციელების პროცესში სკოლა მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა გადაადგილებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა აცხადებს მზაობას დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევის შემთხვევეაში ის განხორციელდეს ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა აცხადებს მზაობას, დამატებითი მომსახურება განხორციელდეს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალიწინებით. ტრანსპორტირების პროცესში სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და ითვალისწინებს შესაბამის რეგულაციებს. სკოლაში კონტროლდება უცხო პირთა შემოსვლა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სატრანსპორტო მომსახურების ტაბელები

სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა)	☒**შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გვერდზე დადებული გზამკვლევებით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება მოხდა 2023-24 სასწავლო წლის ბოლოს, ივნისის თვეში, სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება.

სკოლის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებულ მონაცემთა საფუძველზე.

სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს და პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა საზოგადოების ინტერესების პრაქტიკაში დანერგვის მეთოდოლოგიას ნერგავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა ახალგაზრდობის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული გზამკვლევის გათვალისწინებით. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, თვითონ აირჩიონ მათთვის სასურველი მეორე უცხო ენა. საშუალო საფეხურზე კი აირჩიონ არჩევითი საგნები.

ინტერვიუების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შედგენამდე ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. ასევე მშობლებთან გასაუბრება და საბოლოოდ კათედრის წარმოამდგენლებთან შეჯერება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 იანვრის N 2-08 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების წესი, სადაც განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. კურიკულუმის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე და მის სრულყოფამდე ჩართულნი არიან მშობლები, წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს სხდომისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმებით დგინდება, რომ მასწავლებლების ჩართულობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა განსხვავებულად წარედგინება სამეურვეო საბჭოს, ხოლო დასამტკიცებლად პედაგოგიურ საბჭოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების/განხილვის, დამტკიცების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია საგნობრივ კათედრაზე. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობელთა ინტერესები და ჩართულობა მაღალია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე სკოლას აქვს სოციალური გვერდი, სადაც მუდმივად ხდება ჩატარებული აქტივობების/ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 იანვრის N 2-08 ბრძანება

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შემუშავებული კურიკულუმები

https://skolebi.emis.ge/schools/887?schoolName=

https://www.facebook.com/zeindrisskola.zeindrisskola?mibextid=wwXIfr&rdid=UXWvYgjKEu6wzAio#

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო ,მეცნიერებების კურიკლუმებში შემუშავებული შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს,შესაძლებლობებს,წინარე ცოდნასა და საჭიროებებს.სსსმ მოსწავლეებისათის მათი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **რჩევა**:სასურველია ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს მოსწავლის მიერ შესაქმნელი შემოქმედებითი პროდუქტი,რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კოგნიტური და აკადემიური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. თუმცა შუალედური მიზნები, ანუ კომპლექსური ბუნების დავალებები საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესად რამდენიმე არის წარმოდგენილი, სემესტრში ერთი ან ორი. საკითხი/საკითხთა კლასტერი მჭიდრო კავშირშია სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან. გამონაკლის წარმოადგენს მესამე და მეოთხე კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმები, სადაც არაა გააქტიურებული ყველა სამიზნე ცნება, არ ახლავს კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალების არც ერთი ბარათი. პედაგოგებთან გასაუბრებით და გადმოგზავნილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ ისინი კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს ახორციელებენ საინტერესო პროექტებს, კომპლექსური ბუნების დავალებებს, თუმცა სრულად არა აქვთ ასახული კურიკულუმებში.

	რჩევა: სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, ყველა თემაში წარმოდგენილი იყოს კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავებით, მოხდება გრძელვადიან მიზნებზე და მის შედეგებზე გასვლა, რაც სასწავლო პროცესს მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდის. ასევე, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება იყოს დამუშავებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კურიკულუმში ინტეგრირებულია არა მხოლოდ საგნობრივი შედეგები, არამედ ზოგადი (უნივერსალური) კომპეტენციები: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ემპათია, პასუხისმგებლობა და სხვ. გაკვეთილების დაგეგმვის პროცესი ემყარება მოსწავლის წინასწარ ცოდნასა და შესაძლებლობების ანალიზს. კურიკულუმი იძლევა ინტეგრირებული, თემაზე დაფუძნებული ან პროექტული სწავლის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას. ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმში შემუშავებულია ისეთი შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ***რჩევა:*** *სასურველია ორივე საგნის კურიკულუმში მეტად აისახოს შუალედურ მიზნად მოაზრებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სახელმწიფო ენა	წარდგენილი სასწავლო მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ კურიკულუმი ნამდვილად არის შემუშავებული მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებითი პროცესის უზრუნველსაყოფად. ეს გამოიხატება რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით: თემებისა და ტექსტების შერჩევა — მოსწავლის ინტერესებზე მორგებული სასწავლო თემები („პიროვნული არჩევანი“, „სიბრძნე სიცილისა“, „საზოგადოებაში თანაცხოვრება“) იწვევს მოსწავლის ჩართულობას. შერჩეული ტექსტები ეხმიანება მოსწავლეთა გამოცდილებას, რეალურ კონტექსტს, რაც ზრდის მათ მოტივაციას. მრავალფეროვანი დავალებები — ინდივიდუალურობაზე და კვლევით უნარებზე ფოკუსით დავალებების ტიპები მოიცავს: ერილობით რეფლექსიურ ტექსტებს („ტყვარჩელში მიმავალი ბიჭის ფიქრები“), შედარებით ანალიზს (ტექსტისა და კინოვერსიის/აუდიოვერსიის შედარება), კრეატიულ და კრიტიკულ წერას (არგუმენტირებული ესე), პრეზენტაციებსა და დისკუსიას. ამ მიდგომით მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, დააიდენტიფიციროს საკუთარი სწავლის სტილი და გამოიყენოს ინდივიდუალური სტრატეგიები. ინტეგრირებული მიდგომა — ენა, ლიტერატურა, მედია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ანალიზს, გრამატიკას, ტექსტურობას, რიტორიკას. ამავე დროს, კინომასალა, აუდიოჩანაწერები და სხვადასხვა ვიდეორესურსი ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. ეს ინტეგრაცია ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს — ინფორმაციის სხვადასხვა არხით მიღებას. კომუნიკაცია და აუდიტორია — რეალური მიზნობრიობა დავალებების უმრავლესობა ითვალისწინებს აუდიტორიის არსებობას — იქნება ეს პრეზენტაცია, რეპორტაჟი თუ დისკუსია. ამით მოსწავლეს ეძლევა უნარი, მოარგოს შინაარსი კონკრეტულ საკომუნიკაციო მიზანსა და კონტექსტს. ამრიგად, ეს კურიკულუმი მკაფიოდ გაწერილი თანმიმდევრული გზაა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა განვითარებას, უნარების გაძლიერებას და მათ პიროვნულ ზრდას. იგი აღჭურვილია კონტექსტური რესურსებით, მრავალფეროვანი დავალებებითა და აქტიური

	სწავლის შესაძლებლობებით, რაც არის თანამედროვე, მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების მიზანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	ის კურიკულუმები რაც მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა ნამდვილად ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. ზოგიერთ კლასის კურიკულუმში არის კომპლექსური დავალება წელიწადში 1-2. მოგეხსენებათ არსებობს საიტი: "math.ge" კათედრამ გამოიყენა იქ არსებული მასალები და მაგის მიხედვით შეადგინა საგნობრივი კურიკულუმები. სამიზნე ცნებები ქვეცნებები და საკითხთა კლასტერი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებას და ცოდნას ითვალისწინებენ როცა კურიკულუმზე მუშაობენ და მოიყვანეს შესაბამისი მაგალითები ***რჩევა:*** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე კურიკულუმს ქონდეს საერთო სახე, კერძოდ მასზე მითითებული იყოს სკოლა კლასი და სახელმძღვანელოს ავტორი, რომლის მიხედვითაც არის შედგენილი ეს კურიკულუმი, თუმცა ეს პრობლემა ნაკლებად გვხვდება დაწყებით საფეხურზე. ასევე კარგი იქნება რომ ის თემა რომელის შესაბამის კომპლექსური დავალება არსებობს შეივსოს შესაბამისად ყველა ველი. მაგალითად, როცა მოცემულია კურიკულუმი და წერია მაგალითები შედარებისთვის ამ გრაფაში წერია უბრალო პროექტი, სასურველია დააკონკრეტოს მოკლედ თუ რა იგულისხმება მის მიღმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შდეგი კი ასახულია სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების (ი.ს.ტ) კურიკულუმის ჩარჩოდან ჩანს რომ კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმივისა და განვითარების გზას, მაგალითად მესამე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, სამიზნე ცნება ინტერნეტის ფარგლებში მოსწავლეები ჯერ ეცნობიან ინტერნეტის ფუნქციონირების პრინციპებს, შემდეგ ასრულებენ დავალებას „ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება და დახარისხება“ . (სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი) **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზეინდარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. თუმცა,მესამე და მეოთხე კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმებში არაა გააქტიურებული ყველა სამიზნე. არ ახლავს კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალების არც ერთი ბარათი. პირველი და მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმს არ ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. პირველი კლასის კურიკულუმს, აგრეთვე, არ ახლავს კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალების არც ერთი ბარათი. ახელმწიფო ენაში, კერძოდ, პირველ კლასში არასწორადაა წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, არ არის მითითებული სამიზნე ცნებები. არ აქტიურდება ყველა სამიზნე ცნება 1-4 კლასების არც ერთ კლასში. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები ყველა საგნის კურიკულუმში ყველა სავალდებულო თემაში არ არის ასახული. ასეთი დავალებები ძალიან ცოტაა (უმეტეს შემთხვევაში1 ან 2 დავალება წელიწადში), რაც მოსწავლეებს ნაკლებად აძლევს ინიციატივის, თვითგამოხატვის, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

	რჩევა: რეკომენდებულია კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული. ჩაასწორონ პირველი კლასის ქართულის ჩარჩო და გაწერონ სამიზნე ცნებები. მათემატიკის კურიკულუმებს, სასურველია დაემატოს მეტი პრაქტიკული დავალება, რაც მოსწავლის ცოდნა-გამოცდილებას შეესაბამება. სასურველია, რომ ყველა საგანში კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. სასურველია, კურიკულუმების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა, მაგ: ყველა ჩარჩო საგნების მოთხოვნების შესაბამისად, ერთნაირ ფორმატში გაკეთდეს,დაინერგოს საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის. ეს უკეთ აღსაქმელს გახდის კურიკულუმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	□აბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში ასახულია შემდეგი ველები<სავალდებულო თემებიი,საკითხები/საკითხთა კლასტერი,ძირითადი კონტექსტ მაგალითები,მაგალითები შედარებისთვის,შემოქმედებითი პროდუქტის იდეა,ცნებები დაკონკრეტებული ქვეცნებებით.შემუშავებული რესურსები მრავალფეროვანი და შესაბამისია. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.

	რჩევა:საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით ,დაწყებით საფეხურზე მოხდეს საკითხთა დაკლასტერება თემის შესაბამისად,რომელიც პასუხობს ახალ სტანდარტს.. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები საკითხი, საკითხთა კლასტერი, ნაკლებადაა წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ახორციელებენ საინტერესო პროექტებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, თუმცა ისინი კურიკულუმში არ აქვთ შეტანილი. ოქალაქეობაში წარმოდგენილია პროექტები, რომლებიც ისეთი პროორიტეტული უნარების განვითარებას უწყობს ხელს, როგორიცაა გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრება, ადამიანი უფლებები, კულტურული მემკვიდრეობა სხვა. ***რჩევა:*** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნობრივ კურიკულუმში ასახული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესი გაზრდის მოსწავლეთა ინტერესს, შინაგან მოტივაციას, რაც სასწავლო მიზნების შესრულებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგელი თემები და მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთას. ჩანს უნარების სისტემური ინტეგრაცია. კურიკულუმი მოიცავს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: თავისუფლება, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, თანასწორობა, კულტურული მრავალფეროვნება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია სავალდებულო თემატური ბლოკების, თემების,საკითხების, ცნება/ქვეცნებების დამუშავება, შემოქმედებითი ტიპის

	დავალებების შესრულება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით, რომელიც მოსწავლეს უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, კერძოდ: მოსწავლეები აქტივობების შესრულების დროს აფასებენ ქმედებებს, მონაწილეობენ დისკუსიაში, აკავშირებენ ნასწავლთან თუ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, ადგენენ კანონზომიერებებს. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ეფექტურად ემსახურება გრძელვადიან მიზნებს. ***რჩევა:*** *სასურველია ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე შემავალი საგნების, მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, კურიკულუმის ჩარჩოში განისაზღვროს დასამუშავებელი ცნებების რაოდენობა.* *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში ვხვდებით უზუსტობებს. სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში უნდა დამუშავდეს ყველა ცნება, აქედან გამომდინარე სასურველია, კათედრის წევრებმა გადახედონ კურიკულუმს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	არმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, როგორც შინაარსობრივად, ისე მეთოდოლოგიურად: ვითარებს საკვანძო კომპეტენციებს. აშკარად ჩანს წიგნიერების განვითარება — მოსწავლეები კითხულობენ, აანალიზებენ, წერენ სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს. ინტეგრირებული დავალებები — ესეები, პრეზენტაციები, დისკუსიები — ხელს უწყობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. საგნობრივი მიზნები — ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავლო გეგმა აღნიშნავს, რომ მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ ტექსტის შინაარსი, სტრუქტურა, ენობრივი თავისებურებები; განავითარონ საკუთარი აზრის არგუმენტირებული გამოხატვის უნარი; გამოხატონ შეფასებითი დამოკიდებულება; დაწერონ კრეატიული,

	არგუმენტირებული თუ ინფორმაციული ტექსტები; გამოიყენონ ენობრივი რესურსები კომუნიკაციისათვის სხვადასხვა კონტექსტში. გეგმა მოითხოვს საგანმანათლებლო შინაარსის დაკავშირებას სხვა დისციპლინებთან. ურიკულუმში ისტორიული და სოციალური კონტექსტების გააზრება ლიტერატურული ტექსტების განხილვისას (მაგ., „ბედი ქართლისა“, „სარჩობელაზედ“) ასახავს ჰუმანიტარულ და სამოქალაქო განათლებასთან ინტეგრაციას. კინოხელოვნების, მედიის, პუბლიცისტიკის ჩართვა იძლევა ხელოვნების, მედიის და ICT მიმართულებებთან ინტეგრაციის საშუალებას. წარდგენილი კურიკულუმი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას, ამარტივებს მოსწავლის როგორც ლიტერატურულ, ასევე, ზოგად საკომუნიკაციო, მეტაკოგნიტური და ანალიტიკური უნარების განვითარებას, ხელს უწყობს მის აქტიურ მონაწილეობასა და პასუხისმგებლობას სწავლის პროცესში. *რჩევა:* სასურველია, კურიკულუმს ახლდეს მოსწავლეთა ინტერესების რეგულარული კვლევა და თვითშეფასების ინსტრუმენტები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მის შესაბამისობას ეროვნულ მიზნებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკლუმებში შემუშავებული საკითხები, სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები ნამდვილად ეყრდნობა სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. რაზეც პედაგოგებმა ცალკე ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერაქრქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვის, უსაფრთხოების დაცვის, სამართლიანი თამაშის წესების დაცვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	პედაგოგის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია სავალდებულო მიმართულებები, სამიზნე ცნებები, საკითხები რომელზე დაყრდნობითაც მოსწავლეები ასრულებენ კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებებს, რაც ნამდვილად ადასტურებს რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მაგალითად მოსწავლის ნამუშევარი პრეზენტაცია,თემა: Red Dead Redemption 2 (VI კლასი, მიმართულება:ი.ს.ტ, სამიზნე ცნება: ინფორმაცია, საკითხი: ინტერაქტიული კონტენტის შექმნა) **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნების: ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს. ამის დასტურია ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. თუმცა, კურიკულუმებში წარმოდგენილია მცირე რაოდენობით შემოქმედებითი ტიპის დავალება (მაგ. სახელმწიფო ენაში თითქმის ყველა კლასში(1-4) წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ასეთი დავალება). ირველ კლასში კლასში ცხრილის სტრუქტურა არასწორია. საკითხი უნდა გააქტიურდეს კომპლექსურ დავალებასთან ერთად და კონტექსტ მაგალითის ქუდში უნდა ჩანდეს სამიზნე ცნებები. პედაგოგების ინტერვიუდან და დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციიდანაც იკვეთება, რომ მათი სამუშაო პროცესი მეტად მრავალფეროვანია, ვიდრე ასახულია კურიკულუმში.

	რჩევა: სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში. სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები შეივსოს სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით. ასევე სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. (მაგ. სახელმწიფო ენაში წარმოდგენილ კურიკულუმში თითოეულ თემაში არ ჩანს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. მეტესად მხოლოდ სამიზნე ცნება ტექსტია გააქტიურებული). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესსი უზრუნველყოფს ისეთ საგანმანათლებლო რესურსებს,რომლებიც ითვალისწინებს კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს.მიუხედავად იმისა,რომ სკოლას არ აქვს სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია,პედაგოგები ეფექტურად იყენებენ ვიზუალურ მასალებს,ილუსტრაციებს, მულაჟებს,სქემებს და ვიდეორესურსებს,რაც ამდიდრებს სწავლა-სწავლების პროცესს.გამოყენებული რესურსები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებერებებსა და ინტერესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სახით წარმოდგენილია ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსების ბმულები, თუმცა ყველა თემაში არ გვხვდება დამატებითი რესურსები. ედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლა-სწავლების პროცესში მრავალფეროვანი რესურსების მნიშვნელობა და კათედრაზე აქტიურად მუშაობენ მათ დახვეწასა და გაუმჯობესებაში. ***რჩევა:*** *სასურველია დაწყებით (მე და საზოგადოება), საბაზო(მოქალაქეობა, გეოგრაფია მე-7 კლასი) და საშუალო (გეოგრაფია, მოქალაქეობა მე-10 და მე-11 კლასები) საფეხურზე კურიკულუმით განსაზღვულ სასწავლო რესურსებში გრიფირებული სახელმძღვანელოდან დაკონკრეტებული იყოს პარაგრაფები და გვერდები, ასევევ იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო დამატებითი რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და მის შედეგებთან, თემასთან, საკითხთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სკოლას აქვს საჭირო რაოდენობისა და ტიპის სასწავლო რესურსები. უზრუნველყოფილია განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის შესაბამისი რესურსები და მიზანმიმართულად უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. რესურსები ხელს უწყობს როგორც ცოდნის მიღებას, ასევე უნარების განვითარებას. რჩევა სამივე საფეხურზე: რესურსების შერჩევისას მეტი ყურადღება დაეთმოს მრავალფეროვნებას და მოხდეს მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსებით - გრიფირებული სახელმძღვანელოებით სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, ასევე ელექტრონული ბმულებით, შესაბამისი რესურსების შერჩევით- აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვით შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისი რესურსების გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. ***რჩევა:*** *მუსიკის კურიკულუმში, სასწავლო რესურსების სვეტში ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული გვერდები გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან. სასურველია კონკრეტულად ჩანდეს სახელმძღვანელოში არსებული თემა და საკითხი რომელ გვერდებს მოიცავს.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: კურიკულუმი მოიცავს როგორც სახელმძღვანელოს, ასევე, დამატებით ტექსტებს, აუდიო-ვიზუალურ მასალებს, ელექტრონულ რესურსებს, ანიმაციებს, დოკუმენტურ ფილმებსა და ონლაინ სავარჯიშოებს. ყველა რესურსი უკავშირდება სამიზნე ცნებებს და შედეგებს. ინტეგრირებულია სხვადასხვა ტიპის აქტივობები, როგორიცაა ტექსტის ანალიზი, წერითი დავალება, პერსონაჟის რუკა, თემატური სქემები, რაც შეესაბამება მრავალმხრივი შეფასების პრინციპებს. ციფრული და ვიზუალური რესურსების აქტიური გამოყენება განაპირობებს სწავლის პროცესის ინდივიდუალურ, საინტერესო და მოსწავლეზე მორგებულ მიდგომას. ამდენად, რესურსები ერთმნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეს ცოდნის გამყარებასა და ფუნქციურ გამოყენებაში, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან თანხვედრილია.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში, ძირითად რესურსად გამოყენებული სსახელმძღვანელო რომლსაც იყენებენ სასწავლო პროცესში. სახელმძღვანელოების ეს ნუსხა ემეტესად გრიფმინიჭებულია, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ მათემატიკის სახელმძღვანელოებმა საშუალო საფეხურის ზოგიერთ კლასში ვერ გაიარეს გრიფი ამიტომ კურიკულუმი შექმნილი და მორგებულია ძველ სახელმძღვანელოზე. გარდა ამისა დამატებით ელ. რესურსად მითითებული აქვთ ქ.ცერცვაძე ე.გუგულაშვილის სახელმძღვანელო ***რჩევა:*** *კურიკულუმში ზოგიერთი თემას არა აქვს მითითებული სამიზნე ცნება და ქვეცნება, ძირითადად ეხება საშუალო საფეხურს. ამიტომ აუცილებელია კათედრამ შეიტანოს ცვლილება და შეავსოს კურიკულიმი.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია როგორც მატერიალური ასევე ელ. რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: ლეპტოპი, პროექტორი, word, excell, powerpoint, school.emis.ge., Scratch.mit.edu. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესად ასახულია რესურსები, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს მხოლოდ სახელმძღვანელოს ,მათემატიკაში პირველ და მეორე კლასებში მრავალფეროვან რესურსს: სახელმძღვანელოები, ფოტომასალები, ელექტრონული რესურსები (ტელესკოლა,ფილმები,წარმოდგენილი აქვთ სათანადო დოკუმენტები (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია).ხოლო მეოთხე კლასში ძირითადად სახელმძღვანელოს. თუმცა, კურიკულუმებში მათი ჩამონათვალი ხშირად ზოგადია. **რჩევა**: სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ.რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ლინკები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ინდიკატორის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,თვითშეფასება,შედეგების ანალიზი)კათედრის პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ სხვადასხვა აქტივობების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს.კურიკულუმში განსაზღვრული რესურსები და სასწავლო მასალა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	აზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგა(მოქალაქეობა), შემაჯამებლების ანალიზი, განმავითარებელი შეფასებები, დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები, სადაც ჩანს დიფერენცირებული მიდგომები, თუმცა დიაგნოსტიკურ წერებში არ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებან, არ არის წარმოდგენილი დიაგნოსტიკური წერის ანალიზი. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას იყენებენ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში, რაც დიფერენცირებულ მიდგომებში ეხმარებათ. ასევე აქვთ მზაობა მრავალფეროვანი აქტივობებით და რესურსებით მაქსიმალურად შეძლონ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება და აქტიურ ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში. *რჩევა:* სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, სადიაგნოსტიკო წერისათვის შეარჩიონ სადიაგნოსტიკო წერის ინსტრუმენტი, დაუკავშირონ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და გააკეთონ ანალიზი, რომელსაც შემდეგ გამოიყენებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენაში და ინდივიდუალურ მიდგომებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობბით, ჩანს რომ უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტეგრაცია საერთო კლასში. შემუშავებულია უნდივიდუალური სასწავლო გეგმები, გამოყენებულია გაკვეთილზე სწავლების სხვადასხვა სტრატეგია მოსწავლეთა უნარებისა და დონეების მიხედვით. **რჩევა სამივე საფეხურზე:** საჭიროა მეტი დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით. კერძოდ, სხვადასხვა ტიპის საკლასო და საშინაო დავალებების მიცემა არა სპეციალური საჭიროების მოსწავლეებთან.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში, კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები მოსწავლეს აძლევს საშუალებას თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. დავალებები მრავალფეროვანია და ეყრდნობა მოსწავლის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. აქტივობებში მოსწავლეს ხშირად ეძლევა პრეზენტაციის, კვლევის ან ჯგუფური მუშაობის საშუალება, რაც მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს. დოკუმენტაციაში ასევე ვხვდებით ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ყველა საგანში, მათ შორის ხელოვნებასა და მუსიკაში, სადაც გაწერილია მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, მიღწევები, გრძელვადიანი მიზნები: რა უნდა გააცნობიეროს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	წარდგენილი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მეტ-ნაკლებად არის ინკლუზიური და დიფერენცირებულ მიდგომებზე მორგებული. კურიკულუმში წარმოდგენილი ტექსტები მოიცავს მრავალფეროვან თემატიკას: ადამიანის პიროვნული ძიება, განსხვავებულის მიმღებლობა, თანაგრძნობა, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, სოციალური სამართლიანობა... ეს ხელს უწყობს მოსწავლეების ემპათიის განვითარებასა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან იდენტიფიკაციას. გამოყენებულია როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ლიტერატურა, მათ შორის ქალი ავტორების ტექსტები, ეროვნულ უმცირესობებსა და სოციალურად განსხვავებულ პერსონაჟებზე ორიენტირებული ტექსტები (მაგ., ნოდარ დუმბაძის „ბოშები“, ბესიკ ხარანაული, ანიმაცია „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“), რაც ზრდის სხვადასხვა სოციალური გამოცდილების მქონე მოსწავლეთა ჩართულობის შანსს.

	ვიდეომასალებისა და ინტერნეტბმულების ჩართვა ხელს უწყობს მრავალმხრივ აღქმასა და მოსწავლეთა სხვადასხვა სენსორული საჭიროებების გათვალისწინებას. დიფერენცირებული მიდგომების კუთხით, გამოიყენება თემატურად მრავალფეროვანი ტექსტები, რაც საშუალებას იძლევა, რომ მასწავლებელმა არჩევანი მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და უნარების მიხედვით გააკეთოს. ტექსტებზე დაფუძნებული დავალებების იდეები ზოგჯერ მოითხოვს შემოქმედებით და კრიტიკულ ანალიზს (მაგ., პიესის შექმნა, მოთხრობის პერსპექტივის შეცვლა), რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ სწავლის სტილზე მორგებას. რესურსებში გამოყენებულია როგორც ბეჭდური, ასევე, ციფრული პლატფორმები (ვიდეოები, საგანმანათლებლო სტატიები), რაც მნიშვნელოვანი ასპექტია განსხვავებული აკადემიური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. *რჩევა*: კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის, ან როგორ ხდება თანატოლთა შორის მხარდაჭერის ხელშეწყობა. მასწავლებლის როლი დიფერენცირებული დაგეგმვისა და სწავლების პროცესში გადამწყვეტია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითრებელი ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნამდვილად გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და გათვალისწინებულია მათი საჭიროებები. რაც შეეხება შეფასების რუბრიკებს სკოლას წარმოდგენილი აქვს, დაწყებითზე ძირითდად განმავითრებელი შეფასების რუბრიკა მოცემულია კონკრეტული დავალება და შესაბამისი შეფასებაც. კათედრამ ასევე წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სადაც თითოეულ სამიზნე ცნებას რომელიც მუშავდება მინიჭებული აქვს ქულა.

	რჩევა: სასურველია კათედრამ სსიმ მოსწავლეებს შესთვაზოს მეტი მრავალფეროვანი დავალებეი რომელიც ადაპტირებული ვერსია იქნება და იმუშაოს ამ მიმართულებით შეფასების სისტემის დახვეწაზე **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმში არის გაწერილი ისეთი საკითხები, რომელიც იძლევა საშუალებას მოსწავლემ თავად აირჩიოს რესურსები (ელ. პრეზენტაცია, ფურცელზე დახატვა და სხვ.) საბოლოო პროდუქტის შესრულებისათვის. მსგავსად შედგენილი კურიკულუმი გვაძლევს საშუალებას ჩავთვალოთ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **რჩევა:** სასურველია პედაგოგმა არა მხოლოდ კურიკულუმში, არამედ კონკრეტული დავალებებისთვისაც შექმნას ადაპტირებული ვერსიები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, შესაბამისად პედაგოგებს გააჩნიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული დავალების ნიმუშები მოსწავლის ნამუშევართან ერთად. მათ წარმოადგინეს მათემატიკაში გამოყენებულია

	დიფერენცირებული სავარჯიშოები, რაც სწავლების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებას უწყობს ხელს. ქართულ ენაში მოსწავლეებს მიეწოდება ვერბალური ინფორმაცია, ვიზუალური, აუდიო და ვიდეო მასალა. დაწყებით საფეხურზე სრულად არის ასახული თითოეული დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** *ოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	გამოკვეთილ გარემოებებზე დაყრდნობით დგინდება,რომ შეფასების სისტემა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს,მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების ზოგადი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს ,რომ სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას.

	<u>რჩევა:</u> სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს და გრძელვადიან მიზნისკენ ანუ სამიზნე ცნებისკენ მიემართება. ავალდებულო თემაში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს რომ გამოყენებულია შეფასების ფორმები და მიდგომები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნულ სასწავლო გეგმის დოკუმენტში. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების სისტემებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილი და გასაგებია მოსწავლეთათვის. შეფასება ეფუძნება ფაქტობრივ მიღწევებს და არა სუბიექტურ შეხედულებებს. მოსწავლე იღებს რეგულარულ და კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი ძლიერი და დასახვეწი მხარეების დანახვაში. **<u>რჩევა სამივე საფეხურზე</u>** : საჭიროა შეფასების რუბრიკების შემუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს ჰოლისტურ მიდგომას. მოსწავლე შეფასდეს არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის, არამედ სოციალური, ემოციური განვითარებით. შეფასება მოიცავდეს უნივერსალურ კომპეტენციებს, როგორიცაა თანამშრომლობა, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა და მოქალაქეობრივი აზროვნება. შეფასება ასახავდეს სწავლის პროცესს და არა მხოლოდ საბოლოო შედეგს. გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი და პიროვნული განვითარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრამ წარმოადგინა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკების ნიმუშები.

	რჩევა: *სასურველია შეფასების სისტემა კორელაციაში იყოს სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და თემის ინდიკატორებთან, აქედან გამომდინარე სასურველია მუშაობა გააგრძელონ შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების / აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა კომპლექსური დავალებების სახით შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ის ორიენტირებულია • შედეგებზე: მოსწავლეები ქმნიან კონკრეტულ პროდუქტებს (პრეზენტაციები, წერილობითი ნაშრომები). • კომპლექსურობაზე: დავალებები მოითხოვს მრავალი უნარის (ანალიზი, სინთეზი, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა) ინტეგრირებულ გამოყენებას. • მეტაკოგნიტურ უნარებზე: მოსწავლეები აანალიზებენ საკუთარ სასწავლო პროცესს. • პრაქტიკულ გამოყენებაზე: თეორიული ცოდნა გამოიყენება კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად. • კრიტიკულ აზროვნებაზე და არგუმენტირებაზე: მოსწავლეები აფასებენ, ადარებენ და ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს. • ენობრივ კომპეტენციაზე: ყურადღება ექცევა ენობრივი ნორმების დაცვას და სწორ მართლწერას. საერთო ჯამში, შეფასების სისტემა ხელს უწყობს არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის ათვისებას, არამედ კრიტიკული, შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებას, რაც სრულად შეესაბამება თანამედროვე განათლების მოთხოვნებს და ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებს.

	რჩევა: *სასურველია, შეიქმნას რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მასალებში არის როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები. ზოგ შემთხვევაში ეს არის ზოგადი შფასებირ რუბრიკები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევებში არის მოცემული დავალება და ამ დავალების შეფასების რუბრიკა. გადმოგზავნილი მასალებიდან ჩანს, რომ გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. ***რჩევა:*** *სასურველია მათემატიკის კათედრამ იმუშაოს შეფასების რუბრიკის დახვეწაზე, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე, როგორც განმსაზღვრელ ისე განმავითარებელზე. როდესაც მოცემული კონკრეტული ტიპის დავალება, მაგალითად კურიკულუმში კომპლექსური დავალება სასურველია თან ახლდეს შეფასების რუბრიკაც* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, რაც ნათლად ჩანს სკოლის მიერ გადმოგზავნილ შეფასების რუბრიკებში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (როგორც განმავითარებელი

	ასევე განმსაზღვრელი), შემუშავებულია მიმართულებების, სამიზნე ცნებებისა და საკითხების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გადმოგზავნილია ზოგადი შეფასების რუბრიკა. სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის. **რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მეორე სტანდარტი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური კურიკულუმი.

ვიზიტის დროს გამოგზავნილი დოკუმენტები

დანართი 3. სტანდარტი 4. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები. 4.2.3. ი.ს.გ. სხდომის ოქმი, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

მეორე სტანდარტი, დამატებითი დანართები, დანართი 2, შეფასების რუბრიკა 11

პირველი სემესტრის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის შემაჯამებელი ოქმი.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
დამატებითი დოკუმენტაცია: საზოგადოებრივი მეცნიერებები; მოქალაქეობა კურიკულუმი. ათედრის ოქმები;
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ანგარიში
ვიზიტის დროს გამოგზავნილი დოკმენტაცია:საზოგადოებრივი მეცნიერებები, შეფასების რუბრიკები
დამატებითი დანართები - მოსწავლის ადაპტირებული დავალება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმიალია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად რასაც მოწმობს პედაგოგების მიერ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები.გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ გასული სასწავლო წლის განმავლოვლობაში მიღებულ გამოცდილებებზე დაყრდნობით, მოახდენენ კურიკულუმის მოდიფიცირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია კოლეგების ურთიერთდასწრების განრიგი და რეფლექსია. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს, განიხილავენ კათედრაზე და შედეგებს ითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავების დროს. არმოდგენილია ასევე მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები, რაც ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სასწავლო წლისა დაგეგმვა ეფუძნება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებსა და თემატიკას. გაწერილია სწავლის შედეგები, შინაარსი, აქტივობები, რესურსები და შეფასება.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	მოწოდებული მასალებისა და ინტერვიუს მიხედვით, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმებს. ის მოიცავს საგანს („ქართული ენა და ლიტერატურა“) , კლასს (მაგალითად, X კლასი) და კონკრეტულ სახელმძღვანელოს (მაგალითად, „ქართული ენა და ლიტერატურა“ X კლასი; გამომცემლობა „დიოგენე“). თემატიკა (მაგალითად, „ძველი ქართული ლიტერატურა“). ცხრილში მოცემულია ქვეთემები, საკითხები, კონტექსტური მაგალითები, დავალების იდეები და რესურსები, რაც მიუთითებს სასწავლო გეგმის არსებობაზე. ***რჩევა:*** *სასურველია გაზომვადი შედეგების დამატება. ის დაეხმარება როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს, უკეთ გაიაზრონ, რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინონ ყოველი თემის ბოლოს.* *სევე, კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ეფუძვნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. კოლეგებთან ინტერვიუშიც და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებიდანაც ჩანს, რომ კოლეგები ერთად გეგმავენ ურთიერთ-დასწრებას. ასევე რეკომენდაციების

	შემუშავებაზე მუშაობენ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებსა მიდგომებთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე მოსწავლეთა ნამუშევრები ძირითდად დაწყებთ საფეხურზე და შესაბამისი შეფასებით, რაც მიუთითებს რომ მუშაობენ კურიკულუმით დაგეგმილი შუალედურ მიზნებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	შემუშავებულ კურიკულუმში გაწერილია სასწავლო წლის მანძილზე შესასწავლი საკითხები, რომელიც დაყრდნობილია სავალდებულო მიმართულებებსა და სამიზნე ცნებებზე. მსგავსად გაწერილი კურიკულუმი კი იძლება საშუალებას სასწავლო პროცესი დაიგეგმოს და განხორციელდეს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	აწყებით საფეხურზე სასკოლო კურიკულუმი მოიაზრება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზად, რამდენადაც მასში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გამოგზავნილი, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** *მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა მიზანმიმართულია მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისკენ მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა საჭიროებების და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რათა დროულად მოხდეს რეაგირება სხვადასხვა საჭიროებებზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამამტკიცებული დოკუმენტაცია(განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები,შემაჯამებელი დავალებების ანალიზი,)რუბრიკები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭვირვალე,სანდო,ობიექტური და სამართლიანი. **რჩევა**:სასურველია შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზრვრელი რუბრიკა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც დეტალურად არის გაწერილი რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პედაგოგის მიერ გაწერილი შეფასების ინსტრუმენტი. ათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ის არ არის ყველა კომპლექსური ბუნების დავალებისათვის. ***რჩევა:*** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
უცხოური ენები	შეფასების სისტემა აფასებს იმ უნარებსა და ცოდნას, რაც რეალურად ისწავლა მოსწავლემ (შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან) შეფასების მიზნები, კრიტერიუმები და შედეგები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. შეფასების სისტემა ემყარება კრიტერიუმებს და არა მასწავლებლის სუბიექტურ მოსაზრებებს ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შანსი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომელიც ცხადყოფს რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, ვხვდებით ასევე თვითშეფასების , ურთიერთშეფასების დოკუმენტებს, შესაბამისად შეფასება უმეტესწილად არის ვალიდური და ობიექტური. ***რჩევა:*** *სასურველია გაითვალისწინოთ ,რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანსა და მუსიკაში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან , ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, შეფასების რუბრიკების გაწერის დროს გაითვალისწინეთ რომ ორიენტირი იყოს სამიზნე ცნებები, თავისი ქულობრივი შეფასებით. საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების სახელმძღვანელოებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით. სასურველია პროექტული სწავლების შეფასების დროს იხელმძღვანელოთ სახელმძღვანელოს დანართით.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	შეფასებასთან დაკავშირებული მასალა სკოლამ წარმოადგინა ვიზიტის დროს. ეს დოკუმენტი აღწერს შემოქმედებითი ხასიათის დავალებას და იმ ასპექტებს, რომლებიც

	ნამუშევრის წარდგენისას უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ. ასევე, მოცემულია მასწავლებლის კომენტარის მაგალითი, რომელიც მიუთითებს მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებაზე განმავითარებელ უკუკავშირს. *რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი, უმეტესად ეს არის ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები. სკლას ასევე წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც საუბარია იმაზე თუ რა შინაარს უნდა ატარებდეს პედაგოგის მიერ შედგენილი შეფასების რუბრიკა. *რჩევა:* სასურველია მათემატიკის კათედრამ სამივე საფეხურზე შეიმუშავოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დაფუძნებული იქნება ვალიდურობასა და ობიექტურობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. იგი **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც დეტალურად არის გაწერილი რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პედაგოგის მიერ გაწერილი შეფასების

	ინსტრუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი ადასტურებს , რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები შეიმუშავებენ ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკებს, შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მასწავლებლები, წესისამებრ, უნდა აცნობდნენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა იციან, რისი შეფასება აქვს მასწავლებელს განსაზღვრული. სკოლის მიერ ყველა საგნისთვის არაა წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნების შეფასების მიზნით შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** სასურველია, რომ შეფასების სქემა თან ერთვოდეს ყველა შემოქმედბითი დავალებას, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს ვერიფიკაციის ინსტრუმენტებისა და ვერიფიკატორთა გუნდის შექმნას, თუმცა მოქმედი შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რეგულარულად ეცნობა მშობელს მოსწავლის შეფასების შესახებ, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ კათედრების სხდომებზე ანალიზდება შემაჯამებელი დავალებები. შეფასების კუთხით, მშობლებთან დამყარებულია აქტიური უკუკავშირი თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. რეალურად ვერიფიკაცია მოსწავლის მიღწევის ანალიზია. სკოლის დირექცია და კათედრები აქტიურად მუშაობენ შეფასების სიტემის მექანიზმის შექმნაზე. ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხილვა, რის საფუძველზეც დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 (სამი) წლის ვადით მატერიალური სახით, ხოლო ელექტრონულად ხუთი წლის ვადით. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
საგნობრივი კურიკულუმები;
სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025.
დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია
ვიზიტის დროს გადმოგზავნილი დოკუმენტაცია

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმში გაწერილი ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში.ელექტრონული რესურსები წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით და შესაბამისობაშია შესასწავლ საკითხებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ, გრიფმინიჭებული და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ სამუშაო რვეულებს, რუკებს, გლობუსებს, პოსტერებს, დამატებითი ელექტონული სასწავლო რესურსებს (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული ფილმები). სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, რაც საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სკოლა უცხოურ ენებში ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. თუმცა კურიკულუმებში მრავლად გვხვდება დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც პასუხობს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს და ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე ძირითადად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს შესაბამისი აუდიო და ვიდეო აპარატურა, ინტერნეტი, კომპიუტერი, ხმის გამაძლიერებელი დინამიკი, პროექტორი, რაც თავისთავად ხელს უწყობს ინტერაქტიური და ვიზუალურად მდიდარი გაკვეთილების ჩატარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და დამხმარე სასწავლო რესურსები (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული გაკვეთილების ანალიზები და ფილმები).

	ჩვენ: მიუხედავად იმისა, რომ YouTube ვიდეოები კარგი დამხმარე რესურსია, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: *ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად.* *პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის.* *ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები).* *სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები: ლიტერატურულ კონტექსტზე და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და ინტერვიუდან ჩანს რომ, ზოგიერთი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ დამატებით სახელმძღვანელოებსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ტექნოლოგიები	პედაგოგი ძირითადად იყენებეს ელ. რესურსებს word, excell, powerpoint, school.emis.ge., Scratch.mit.edu. ასევე სკოლას აქვს ინტერნეტი, კომპიუტერი, პროექტორი, რაც თავისთავად ხელს უწყობს საინტერესო, ინტერაქტიური და ვიზუალურად მდიდარი გაკვეთილების ჩატარებას. ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა რომ მონაწილეობა მიიღო პროექტში „STEAM განათლება“, რომლის ფარგლებში სკოლას გადაეცემა ელექტრო ინჟინერიის ნაკრებები, რომლითაც მოსწავლეები შეძლებენ სხვადასხვა ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს, ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** *ება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზრვრული რესურსები შეესაბამება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო თემატიკას და შედეგებს. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნისნეს.რომ რესურსის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით.რესურსები წარმოდგენილია ისეთი ფორმით,რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და სწავლის ინტერესის გაძლიერებას.საჭიროებების შემთხვევაში პედაგოგები თავადა ქმნიან სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების რესურსებში ასახულია სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფმინიჭებულია და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. კათედრას აქვს მზაობა თავად შექმნან დამატებითი რესურსები და მოახდინონ მათი ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმებში მრავლად გვხვდება დამხმარე რესურსები რომლებიც შესაბამისობაშა კურიკულუმში მოცემულთემებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. უცხოური ენების კათედრას შემუშავებული აქვს სასწავლო რესურსების შერჩევისა და დამტკიცების დოკუმენტი და სკოლაში განსაზღვრულია რესურსის გამოყენებამდე მისი გადამოწმების პროცედურა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში არ ჩანს როგორ შეირჩა სასწავლო რესურსი. ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე ძირითადად იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს და ისეთ დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და ეროვნული გეგმის სტანდარტებს. რესურსები შერჩეულია ფუნქციურად და თემატურად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მოცემულია დამხმარე რესურსების ვრცელი ჩამონათვალი (ძირითადად YouTube ბმულები), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სკოლა/მასწავლებელი ცდილობს გამოიყენოს დამატებითი მასალა სასწავლო პროცესის გასამრავალფეროვნებლად. ავტორები/წყაროები: ზოგიერთი YouTube არხის დასახელება (,,საშინაო სკოლა", ,,ლიტერატურული წახნაგები") მიანიშნებს, რომ გამოყენებულია საგანმანათლებლო

	კონტენტი, რომელიც შექმნილია პედაგოგების ან სპეციალისტების მიერ. ეს ზრდის კონტენტის სანდოობას. კურიკულუმის დოკუმენტებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამ დამხმარე რესურსების შერჩევა, შეფასება ან დამტკიცება. არ არის მითითებული კრიტერიუმები, ვის მიერ ხდება ვალიდაცია, ან რა პერიოდულობით ხდება მათი გადამოწმება, თუმცა ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღწერეს დეტალურად თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ. YouTube ვიდეოების სანდოობა შეიძლება იყოს ცვალებადი. მიუხედავად იმისა, რომ წყაროები პროფესიონალურია, ბევრი კონტენტი შეიძლება არ იყოს გადამოწმებული ან შეიძლება შეიცავდეს შეცდომებს. ზოგიერთი რესურსი შეიძლება იყოს სუბიექტური ან მიკერძოებული კონკრეტული თვალსაზრისის მიმართ. ვალიდაციის პროცესი მნიშვნელოვანია ამის მონიტორინგისათვის. ***რჩევა:*** *სასურველია, დანერგოთ პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს (და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც) შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფმინიჭებულია გამონაკლის წარმოადგენს საშუალო საფეხური, რადგან ცნობილია რომ გრიფი ვერ გაიარა ზოგიერთმა სახელმძღვანელომ. კათედრა აქტიურად იყენებს დამატებით სხვა სახელმძღვანელო რესურსებსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი რესურსები, რომელიც აღიარებულია და დადასტურებულია როგორც განათლების სამინისტროს, ასევე საგნობრივი ექსპერტების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. არც ერთ დოკუმენტში არ ჩანს, როგორ შეირჩა დამხმარე რესურსები, თუმცა ისინი რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები.სკოლა უზრუნველყოფს ონლაინ პლატფორმებზე ხელმისაწვდომობას.მიუხედავად ამისა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავალა მოითხოვს მოსწავლეთა პრაქტიკულ ჩართულობას და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას,რომლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სასკოლო სასწავლო ლაბორატორია. ამ ეტაპზე სკოლას სასწავლო ლაბორატორიისთვის გამოყოფილი სივრცე ათვისებული აქვს არამიზნობრივად, რაც ზღუდავს სწავლების სრულფასოვან გამოცდილებას.თემის სიღრმისეული შესწავლისა და მოსწავლეებში კვლევითი უნარ ჩვევების განვითარებისათვის აუცილებელია სკოლამ მოახდინოს ლაბორატორიული სივრცის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა და მიზნობრივი გამოყენება. **ინდიკატორი არაა შესაბამისობაში** **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.** **გეგმით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა 28.07.2026 მდე** **ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამიად**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულებია რომელიც მოიცავს ტექსტებს რუკებს, ცხრილებს, დიაგრამებს, რომლებიც სხვადასხა უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას ასევე აქვს რუკები, გლობუსები, თვალსაჩნოება, პროექტორი, კომპიუტერები, რომლებიც დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს რომ ტექნიკური რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო გეგმასთან და აქტიურად გამოიყენება სწავლის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი კომპიუტერები, ინტერნეტი და რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა საკმარისია კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი სახელმძღვანელოებია, რომელიც მოიცავს ძირითად სასწავლო მასალას, ტექსტებს, სავარჯიშოებს და ა.შ. კურიკულუმებში ვხვდებით უამრავ YouTube ბმულს, რომლებიც მოიცავს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზებს, ფილმებს ამა თუ იმ ნაწარმოების მიხედვით, ან საგანმანათლებლო ვიდეოებს. ეს მნიშვნელოვანი დამხმარე რესურსია. ეს რესურსები ემსახურება ნაწარმოებების უკეთ გაგებას, ვიზუალიზაციას, სხვადასხვა ინტერპრეტაციის გაცნობას და, ზოგადად, საგნობრივი კომპეტენციების გაღრმავებას. მაგალითად, ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“ აშკარად ეხმარება მოსწავლეს ნაწარმოების აღქმაში, ხოლო ანალიტიკური ვიდეოები ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას. ამ რესურსების ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია ინტერნეტსა და შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობაზე (კომპიუტერი/პლანშეტი/ტელეფონი). სკოლის პირობებში ეს მოითხოვს ინტერნეტთან წვდომას და პროექტორს/ინტერაქტიულ დაფას. მოსწავლეების სახლში მუშაობისას კი – მათ საკუთარ ტექნიკურ საშუალებებსა და ინტერნეტს. კურიკულუმი აშკარად ცდილობს სასწავლო პროცესის გამდიდრებას ციფრული რესურსებით, რაც თანამედროვე განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს რესურსები ხელს უწყობს ვიზუალური და აუდიტორული აღქმის გააქტიურებას, რაც მრავალფეროვან სწავლის სტილს აკმაყოფილებს. ფილმების და ანალიზების გამოყენება გაუადვილებს მოსწავლეებს რთული ლიტერატურული კონცეფციების გაგებას. არ არის მითითებული არაბეჭდური მატერიალური რესურსები, გარდა ონლაინ ბმულებისა. დოკუმენტებში არ არის ნახსენები ბიბლიოთეკა, კლასის მოწყობილობები (მაგალითად,

	ინტერაქტიული დაფები, პროექტორები, კომპიუტერები, პრინტერები), რომლებიც აუცილებელია ამ ციფრული რესურსების გამოსაყენებლად. სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად, მხოლოდ ბმულების არსებობა საკმარისი არ არის; საჭიროა, სკოლამ უზრუნველყოს ამ რესურსებზე წვდომა და მათი გამოყენების ტექნიკური პირობები. ***რჩევა:*** *იმისათვის, რომ სკოლამ სრულად უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსებით, აუცილებელია, კურიკულუმში მკაფიოდ გაიწეროს არა მხოლოდ რესურსების ჩამონათვალი, არამედ აღიწეროს ტექნიკური უზრუნველყოფა დეტალურად: რა ტექნოლოგიური მოწყობილობებია ხელმისაწვდომი სკოლაში (კომპიუტერული კლასი, ინტერაქტიური დაფები, პროექტორები, ინტერნეტი) და როგორ გამოიყენება ისინი რესურსების ეფექტურობისთვის.* *სასურველია, დაინერგოს ციფრული რესურსების ვალიდაციის, განახლებისა და ალტერნატიული რესურსების მოძიების სისტემა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მუდმივი ხელმისაწვდომობა და აქტუალურობა, განისაზღვროს ბიბლიოთეკის (როგორც ფიზიკური, ისე ციფრული) როლი დამხმარე რესურსების მიწოდებაში.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი სახელმძღვანელოები არის როგორც ძირითადი ასევე დამხმარე. სკოლას აქვს საშუალება უზრუნველყოს მოსწავლეები პროექტორით და კომპიუტერებით, რაც იძლევა დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს და გარე სივრცეში განთავსებულ სპორტულ მოედანს.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისწინებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითადი საკითხების შესწავლა ხორციელდება ონლაინ პლატფორმებზე. ონლაინ პლატფორმებზე ხელმისაწვდომობას სკოლა უზრუნველყოფს. უნდა აღინიშნოს რომ კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია ბიბლიოთეკასთან და VI კლასთან ერთად. თუმცა სკოლამ წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის გრაფიკი, რომელის არ ფარავს გაკვეთილებს. წარმოდგენილი გრაფიკით შესაძლებელია კლასების ისე მონაცვლეობა, რომ სრულყოფილად ტარდება ისტის გაკვეთილები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგიერთ კურიკულუმში და კომპლექსური დავალების ბარათებში ჩანს, რომ ზოგი აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი, ლაბორატორია). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფლია და იყენებენ კიდეც. **ინდიკატორი შესაბამისობაში** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

დოკუმენტაციის და ოქმების მიხედვით, ასევე გსაუბრების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორი შესაბამისობაში

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კათედრის ოქმი
საგნობრივი კურიკულუმები
შეფასების კრიტერიუმები
მოსწავლეთა შეფასების ანალიზი
დიაგნოსტიკური შეფასება
შეფასების რუბრიკები
სასკოლო სასწავლო გეგმა
კათედრის ოქმი
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი
შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია
კოლეგათა დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე - კოლეგის უკუკავშირი კოლეგას
დირექტორის მიერ გაკვეთილის შეფასება
მასწავლებლის თვითშეფსება
მოსწავლის შემოქმედებითი პროდუქტის ფოტომასალა
წარმოდგენილი ფოტომასალასა

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 იანვრის 2-08 ბრძანებით დამტკიცებულია "კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია". ღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პროცესები. სევე განსაზვრულია პროცესებზე პასუხიმგებელი პირები. ასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესზე მიმდინარეობს მონიტორინგი. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 იანვრის 2-08 ბრძანებით დამტკიცებულია "კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია". მ დოკუმენტით განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პროცესები. ასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ სასწავლო პროცესზე მონიტორინგს ახორციელებს დროდადრო სკოლის დირექტორი ასევე ხდება კოლეგების მიერ ურთერთდასწრება საგაკვეთილო პროცესზე, მუშავდება

რეკომენდაციები, რომელიც ეხება კურიკულუმის ცვლილებას, სწავლების დიფერენცირებული მეთოდების გამოყენებას და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს გადაჭრის გზასა და საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი სკოლაში ხორციელდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. ოსწავლეთა დიაგნოსტიკური შედეგები თუ მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და საერთოდ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მოსწავლეების ინტერესებს. ამრიგად შედეგები გამოიყენება არა დასჯის, არამედ სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ხდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებითა და სკოლაში სხვადასხვა რგოლის ჩართულობით. გაკვეთილებზე დასწრება, კურიკულუმის მონიტორინგი და რევიზია სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასების ნაწილია. აღნიშნულის გათვლისწინებით, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში გათვალისწინებულია არა მხოლოდ საგნის სპეციფიკა და შინაარსობრივი თავისებურებები, არამედ ასევე კურიკულუმში განსაზღვრული სასწავლო მიზნები, დავალებები და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. შეფასება

ეყრდნობა სხვადასხვა კონტექსტის ანალიზს, როგორებიცაა საგაკვეთილო მიზნები, მოსწავლის უნარ-ჩვევები, სოციალური და კულტურული გარემო, ასევე მისი პირადი წინსვლის დინამიკა. შესაბამისად, ეფექტური შეფასება არა მხოლოდ აკადემიური პროგრესის დაფიქსირებას, არამედ მოსწავლის ძალისხმევის, სწავლების პროცესში ჩართულობისა და ინდივიდუალური განვითარების მხარდამჭერ მექანიზმადაც გვევლინება. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს სამართლიანი, უტყუარი და სწავლისთვის მოტივაციის განმამტკიცებელი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენება როგორც შემაჯამებელი ტიპის დავალებები (ტესტი, კვლევის ანგარიშის წარმოება, პრეზენტაციების მომზადება სხვადასხვა თემაზე და ა.შ) ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების დროს განხორციელებული საკვანძო აქტივობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისად გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

პროცესის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს სწავლების ხარისხსა და მოსწავლის აკადემიურ წინსვლაზე. ეს ფაქტორები მოიცავს როგორც მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მის სოციალურ-ემოციურ მდგომარეობას და მოტივაციას, ასევე სასწავლო გარემოს, მასწავლებლის მეთოდებსა და რესურსების ხელმისაწვდომობას. შეფასება კომპლექსურ ჭრილში განიხილავს აღნიშნულ კომპონენტებს და სწორედ ამ მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ხდება სწავლის შედეგების გააზრება. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, რეალისტურობასა და იმას, რომ იგი ასახავდეს არა მხოლოდ შედეგს, არამედ პროცესაც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კათედრის ოქმები

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის საფუძველზე, კურიკულუმის განვითარება მუდმივ პროცესს წარმოადგენს და ხორციელდება სასწავლო პროცესში გამოვლენილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესაბამისი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს არსებული მდგომარეობა და საფუძვლიანად დაიგეგმოს ცვლილებები კურიკულუმში, მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების ადეკვატურად ასახვის მიზნით. ასევე მიმდინარე წლის კურკულუმიდან გამომდინარე გამოკვეთილი საჭიროებები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ახალი სასწავლო წლის ფარგლებში კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რაზეც მზაობა დაადასტურეს პედაგოგებმა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის განახლება ყოველწლიურად მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში დაგროვებული მონაცემებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილია კურიკულუმის რევიზია და განახლება, მათ შორის უკვე არსებული კურიკულუმის ჩარჩოების გადახედვა. განახლებაში აისახება წინა წლების გამოცდილება, მოსწავლეთა საჭიროებები და სასწავლო პროცესში იდენტიფიცირებული პრიორიტეტები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის მეტად მიზნობრივ და ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კათედრის ოქმი

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

საგნობრივი კურიკულუმები

შეფასების სისტემა

სკოლის თვითშეფასება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 06.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: